# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 12 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 171 (6029)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


# რუსული საფრთხე ევროპისთვის



5

● იმ ძალას, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაშალა, შეეძლო რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე დაშლა და რუსეთისაგან ციმბირის ჩამოცილება.

● რა აზრი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დაშლას, თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი გაბატონდებოდა და ევროპას საფრთხეს ის შეუქმნიდა?





6

## „სააკაშვილმა უპირობო კაპიტულაციას მოაწერა ხელი“ 4

ნინო ბურჯანაძე:

## „სააკაშვილს მოუწევს პასუხის გაცემა“ 8

FINANCIAL TIMES

რას ფიქრობს ამერიკელი პოლიტოლოგი ბურჯანაძის შესაძლო გაპრეზიდენტების თაობაზე? 2

## ქართულ-უკრაინულ კრიზისში ყველა თავის „ეშმაკს“ ეძებს 3



რუსეთს უნდა დაუმტკიცდეს ეთნიკური ქართველების მიმართ ძალადობა და დისკრიმინაცია 2

ქართველების ჯაშუში თუ აფხაზი ფოტოგრაფი? 5

ფრანგები „საქართველოს უპასუხისმგებლო ხელისუფლებას“ ოქრუაშვილს არ გადმოსცემენ 12

## შალვა ნათელაშვილისთვის უპირველესია თავისი პარტია, შემდეგ – სამშობლო 3



## კოკოითი ქართველ ცყვეებს უსაქმოდ არ აჩერებს 6

## რუსეთმა თვითონ გაყო თავი შარში 9-11

ინფორმაცია

## საქართველოს რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავეხმაროთ!

**აშშ-ის მიერ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია. ამის შესახებ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრმა ქრისტოფერ სმიტმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან შეხვედრისას განაცხადა.**

შეხვედრაზე ბაქრაძემ და სმიტმა აშშ-ის მხრიდან საქართველოსადმი ეკონომიკური დახმარების განხორციელების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება – საქართველოსთვის ერთი მილიარდი დოლარის გამოყოფის თაობაზე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს.



იმ დროს, როდესაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციას ახორციელებს, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია, – განაცხადა კონგრესმენმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ მას საქართველოში ამ დროისთვის არსებული ვითარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა და ქრისტოფერ სმიტს პოლიტიკური მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

## ჰელსინკის კომისიის სხდომა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს

**ის, რაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა, მხოლოდ ერთი ქვეყნის ბედს არ განსაზღვრავს. ეს, მთელი მსოფლიოსთვის გამოწვევაა, – განაცხადა კომისიის სხდომაზე დავით ბაქრაძემ.**

ბაქრაძემ კომისიის წევრებს აგვისტოში განვითარებული მოვლენების ქრონოლოგია გააცნო და კონგრესმენთა შეკითხვებს უპასუხა.

კონგრესმენთა შეკითხვები რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებას, კოსოვოს თემას და ეთნიკურ წმენდის ფაქტებს შეეხებოდა..

ჰელსინკის კომისიის სხდომის მიზანი რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის საკითხის განხილვა იყო. კომისიას აგვისტოს მოვლენების დეტალური ანალიზი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ მეთიუ ბრაიზამ წარმოუდგინა.

ბრაიზამ ვრცლად მიმოიხილა საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და ამ ფონზე ცხინვალის რეგიონში დაწყებული რუსული სამხედრო-პოლიტიკური აგრესია, რომელიც შემდგომ მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდა.

ჰელსინკის კომისიის წევრებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

## წმენდა უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაში

**რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ნატოში დიმიტრი როგოზინი აცხადებს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, საქართველოს უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაში „წმენდა“ დაიწყო.**

მისივე ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურას დაახლოებით 4 ათასი საქმე აქვს აღძრული დეზერტიროების მუხლით.

ალბათ საუბარი მიდის იმაზე, რომ მრავალმა რეზერვისტმა უარი განაცხადა მშვიდობიანი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ხოცვაზე, – აცხადებს როგოზინი.

ჯი-ეიჩ-ენი

უცხოთა თვალით

8 სექტემბრის „Wall Street Jornal“-ი ბრიტნი ჰაიტეთეს სტატიაში – „ქართველი ლიდერი პოლიტიკური პარტიის შექმნაზე ფიქრობს“ – კომენტარს უკეთებს საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერის ნინო ბურჯანაძის გამოსვლას ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში (არნოლდ სალცმანისა და ჰარიმანის ინსტიტუტის ინიციატივით), სადაც მან ისაუბრა აგვისტოში განვითარებული მოვლენების შესახებ და არა მარტო ამაზე.

სტატიის ავტორი წერს, რომ ყოფილი სპიკერი არ გამორიცხავს ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას, მაგრამ ღიად არ აჩვენებს სააკაშვილთან არსებულ განხეთქილებას. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, – წერს ბრიტნი ჰაიტეთე, – ბურჯანაძე შეიძლება წარსდგეს, როგორც სააკაშვილის ოპოზიციის ძირითადი ფიგურა. „თუ ეს სასარგებლო იქნება, მე ამას გავაკეთებ“, – უპასუხა ნინო ბურჯანაძემ, როცა კოლუმბიის ინივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე მას ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის თაობაზე ჰკითხეს. ლინკოლნ მიტჩელი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ქართული პოლიტიკის საკითხებს სწავლობს, აცხადებს, რომ სამომავლოდ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის ახალი პარტიის შექმნა დადებითი ნაბიჯი იქნება. „საქართველოში ძალაშია ერთნახევარი პარტიული სისტემა. პოლიტიკური პარტიები კანონიერია და კონკურენტუნარიანი, მაგრამ ხაზი პარტიასა და მთავრობას შორის ან პარტიასა და სახელმწიფოს შორის, ძალიან ნაცრისფერია“.

# რას ფიქრობს ამერიკელი პოლიტოლოგი ნინო ბურჯანაძის შესაძლო გაპრეზიდენტების თაობაზე?



**კომენტარისთვის ჩვენც მივმართეთ ლინკოლნ მიტჩელს. თუმცა მანამდე ვთხოვეთ, თუ ვის მიიჩნევდა იგი ამჟამად საომარი მოქმედებების ინიციატორად (შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინათ ჩვენთან საუბარში მან განაცხადა, სააკაშვილმა პირველმა დაიწყოო საომარი მოქმედებებიძ. დიახ, იყო მაშინ, მაგრამ დღეს სულ უფრო მეტი უცხოელი ექსპერტი საუბრობს იმის თაობაზე, რომ ქართული მხარის მიერ იარაღის გამოყენება გახლდათ თავდაცვითი პასუხი სეპარატისტებისა და „სამშვიდობოების“ მიერ განხორციელებულ ერთობლივ აგრესიაზე.**

**– ერთი თვის თავზე შეიცვალეთ თუ არა პოზიცია?** – ვკითხე ლინკოლნ მიტჩელს.

– ვფიქრობ, რომ ქართული მხარე პროვოცირებულ იქნა, ხოლო რუსეთის პასუხი იყო აგრესიული, არამართებული, კანონითა და მორალით გაუმართლებელი.

**– რას ფიქრობთ ბურჯანაძის საპრეზიდენტო კარიერაზე?**

– საპრეზიდენტო არჩევნები არ იქნება 2013 წლამდე, ხოლო ამ დროის მერე სააკაშვილი მონაწილეობას ვერ მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში. ბურჯანაძე იმ ქართველთა რიცხვშია, რომელიც კარგი პრეზიდენტი შეიძლება იყოს. მართალი გითხრათ, ჯერჯერობით არ ვიცი, ბურჯანაძეს სამომავლო არჩევნებთან დაკავშირებით რა ჩანაფიქრები აქვს.

**– როგორ აფასებთ დასავლეთის დამოკიდებულებას აგვისტოს, როგორც მას უკვე უწოდებენ, 5-დღიან ომთან მიმართებაში?**

– ჯერ კვლავ ადრეა ამაზე საუბარი. მაგრამ მე მოხარული ვარ, რომ საქართველოს ჰუმანიტარული დახმარება გაეწია. ასევე იმით, რომ ბევრი ამერიკელი გულდაწყვეტილი იყო, რომ ვერ შესძლო საქართველოს პირდაპირ დახმარებოდა. ვთვლი, რომ ამ კრიზისთან დაკავშირებით ევროკავშირს ბუნდოვანი პოზიცია ჰქონდა, რაც გარკვეული სერიოზული მიზეზებით აიხსნება. ევროკავშირსა და აშშ-ს საქართველოს დახმარება ერთად შეუძლიათ, მათვე ძალუძთ ასევე რუსეთის სწორი მიმართულებით წარმართვა. განცალკავებულად – არა. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსს, მე ოპტიმისტურად განწყობილი არა ვარ. რუსეთი, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში არ იქნება მზად იმისთვის, რომ საქართველო დატოვოს. ძალიან მიხარია, რომ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. იმედი კი ემყარება იმას, რომ საქართველოს ნაწილების დაბრუნების გრძელვადიანი პროცესი საერთაშორისო გადაწყვეტილებებს დაეყრდნობა.

**აშშ-ში ნინო ბურჯანაძე ამერიკის დემოკრატიულმა და რესპუბლიკურმა პარტიებმა მიიწვიეს. ყოფილი საპარლამენტო სპიკერი ასევე ესტუმრა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, გაეროს, კარნეგის ფონდს ვაშინგტონში, სადაც მადლობა გადაუხადა ამერიკის მთავრობას საქართველოსთვის გაწეული დახმარებისთვის და განაცხადა, რომ კონფლიქტის სამშვიდობო ინიციატივებით გადაწყვეტისა ყველა მცდელობა, სამწუხაროდ, წარუმატებელი აღმოჩნდა. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსული აგრესია და რუსეთის მიერ საქართველოს კონფლიქტური ტეროტორიების დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო კანონმდებლობის გაუგონარი დარღვევით მოხდა. ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ დევნილების გადაუდებელ დახმარებასთან ერთად აუცილებელია ქართული ჯარი ნატოს სტანდარტების შესაბამისად გაწვრთნა-აღჭურვა.**

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“. საკ. კორ.**
**აშშ, ნიუ-იორკი.**

ჰააგის სასამართლო

# რუსეთს უნდა დაუმტკიცდეს ეთნიკური ქართველების მიმართ ძალადობა და დისკრიმინაცია

**საქართველოს სახელმწიფომ 2008 წლის 12 აგვისტოს სარჩელით მიმართა გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს. სარჩელი ეხება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში 1990-იანი წლებიდან დღემდე განხორციელებულ ეთნიკურ წმენდასა და სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერას.**

როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან მიმდინარე მოვლენების მიმართ დაუყოვნებლივი რეაგირების, ადამიანების უფლებათა და თავისუფლებათა მასობრივი დარღვევების დაუყოვნებლივ შეჩერების მიზნით, საქართველოს სახელმწიფომ სარჩელთან ერთად შეიტანა მოთხოვნა რუსეთის ფედერაციისთვის დროებითი ღონისძიების დაკისრების შესახებ.



დროებითი ღონისძიების სახით საქართველო ითხოვს, სასამართლომ რუსეთის ფედერაციას დააკისროს ვალდებულება ეთნიკური წმენდისა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუყოვნებლივი შეჩერების შესახებ.ქართული მხარე რუსეთს ჰააგის სასამართლოში წარდგენილი ფაქტების დამახინჯებაში ადანაშაულებს.

გუშინ სასამართლო მოსმენის პირველი ეტაპი დასრულდა. სასამართლომ ქართული მხარის საპასუხო რუსეთის არგუმენტაცია მოისმინა.

როგორც ჰააგის სასამართლო მოსმენისას რუსეთის წარმომადგენელმა რომან კოლოდკინმა განაცხადა, „მოსარჩელე მხარემ ვერ მოახდინა იმ ფაქტების დემონსტრირება, რომელიც რუსეთის მიმართ გადაუდებელი დროებითი ზომების მიღებისთვის არის აუცილებელი“. მისივე თქმით, არავითარი ზომების მიღების აუცილებლობა არ არსებობს.

საქართველოს წარმომადგენლის თინა ბურჯალიანის თქმით კი, საქართველო სასამართლოს სთხოვს, მიიღოს ზომები რუსეთის მიმართ, რათა გამოირიცხოს ეთნიკური ქართველების მიმართ ძალადობა და დისკრიმინაცია.

როგორც ჰააგაში მყოფმა იუსტიციის მინისტრმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად ერთი ან რამდენიმე კვირა დასჭირდება.

მისივე თქმით, ქართული მხარის მოთხოვნაა, ჰააგის სასამართლომ დროებითი ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს, რომ რუსეთმა სასწრაფოდ შეწყვიტოს საქართველოში ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია და შეაჩეროს ეთნიკური წმენდის პროცესი, რომელიც ახლაც მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი

განსჯა

# ქართულ-უკრაინულ კრიზისში ყველა თავის „ეშმაკს" ეძებს

*როგორც ამბობენ, „ეშმაკები დეტალებშია". სარკოზი-მედვედევის შეთანხმებამ ეს ფორმულა კიდევ ერთხელ დაადასტურა. მოსკოვში მას სხვანაირად კითხულობენ, თბილისში — სხვანაირად. გაუგებრობა ჯერ კიდევ ექვსპუნქტიან შეთანხმებას მოჰყვა, რომელიც საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების პირველ შეხვედრაზე (12 აგვისტოს) გაფორმდა, გამონაკლისი არც 8 სექტემბრის მოლაპარაკება გახდა. მედვედევი დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები ეგრეთ წოდებულ ბუფერულ ზონაში დადგებიან. კრემლის მეპატრონის განმარტებით, „ქართულ სამხედრო რეჟიმს ეს შეაჩერებს სულელური ქმედებებისგან", მიხეილ სააკაშვილის განცხადებით კი, დამკვირვებლები საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავენ, მათ შორის კონფლიქტის ზონებსაც. თავად ნიკოლა სარკოზის ზუსტი განმარტებები არ გაუკეთებია. ქართველი ჟურნალისტების საკმაოდ კონკრეტულ შეკითხვებს მან შეთანხმების ზოგადი ფრაზებით უპასუხა. ეშმაკებს ანუ დეტალებს არ შეხებია.*

ინტერესების კონფლიქტიც გამოიკვეთა. თბილისისთვის მნიშვნელოვანია დამკვირვებლების აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შეყვანა, მოსკოვისთვის — ქართული პოლიტელიტის დამორჩილება, ევროპისთვის კი — ცივი ომის საშიშროების თავიდან აცილება. ამიტომაც სარკოზიმ მედვედევთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ გვინდა პარტნიორობა, ჩვენ გვინდა მშვიდობა, არავის სჭირდება დაპირისპირება ევროპასა და რუსეთს შორის",

ამერიკა რუსეთმა ამ მოლაპარაკებებს ახლოსაც არ გააკარა. ერთ-ერთი ქართველი მაღალჩინოსნის განმარტებით, მოსკოვმა თავად შეარჩია შუამავლად სარკოზი და ევროკავშირი ნაცვლად შეერთებული შტატებისა.

როგორც ჩანს, კრემლს არა მხოლოდ აღიზიანებს ამერიკული ინტერესების არსებობა კავკასიაში და დსთ-ის სივრცეში, არამედ მას უნდობლობითაც ეკიდება.

ბუნებრივია, თბილისი ამ (ისედაც წაგებულიძ ომიდან მაქსიმუმის მიღებას ცდილობს. ამიტომაც თბილისი ახლა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ევროკავშირის ქვეყნების პირველი პირები თბილისში ჩამოვიდნენ. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ლაშა ჟვანიას განმარტებით, „ამ გზით, ევროკავშირი კიდევ ერთხელ დაადასტურებს საქართველოს მიმართ მხარდაჭერას".

საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიას სურს, ევროკავშირის ამ სხდომას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც დაესწროს. ცალკეული განცხადებები პრეზიდენტ ბუშის შესაძლო ჩამოსვლასთან დაკავშირებით კეთდება კიდეც, თუმც, თეთრი სახლი ასეთ შესაძლებლობას ჯერჯერობით არ ადასტურებს.

რამდენიმე დღით ადრე კი პარიზში ევროკავშირისა და უკრაინის ერთობლივი სამიტი გაიმართა. თუმცა ეს შეხვედრა იუშჩენკოსთვის მისაღები შედეგებით ვერ დასრულდა. მიზეზი ერთია — ტიმოშენკო.

პოლიტიკური ხმაური მას შემდეგ ატყდა, რაც ტიმოშენკომ იანუკოვიჩთან პოლიტიკური ფლირტი დაიწყო და იუშჩენკოს საკონსტიტუციო ფუნქციების შესაკვეცად პრორუსულ ფიგურას იანუკოვიჩს გაურიგდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კიევმა ვერ შეძლო დაერწმუნებინა ბრიუსელი ამ პროცესების დემოკრატიულობაში. იუშჩენკომ კი განაცხადა, რომ უკრაინაში პოლიტიკური კრიზისი კი არა, ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესები მიდისო, მაგრამ ევროკავშირისგან მან მხოლოდ ასოცირებული წევრობის გარანტიები მიიღო და არა „ევროპული პერსპექტივის" ფარგლებში თანამშრომლობა. კიევმა ვერც გამარტივებული სავიზო რეჟიმი მიიღო.

პოლიტიკური სკანდალები კიევს არასტაბილურ პოლიტიკურ კურსში ჩაუთვალეს. ახლა უფრო ნათელი ხდება, რატომ დასჭირდა თბილისს, გაეფორმებინა ყველა პოლიტიკურ პარტიასთან ქარტია, სადაც დაფიქსირებული იყო ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია. ამ დოკუმენტის მიხედვით (შეგახსენებთ, მას ხელი არ მოაწერეს იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც 7 ნოემბრის აქციებში მონაწილეობდნენძ, საქართველოს მთავარ პარტნიორად ევროსტრუქტურები სახელდებოდა. შესაძლოა, ლოგიკურიც არის, რომ ევროკავშირი საქართველოში მხოლოდ მხარდაჭერ სხდომას გამართავს. თუმცა, ლაშა ჟვანია დარწმუნებულია, რომ „სამომავლოდ ეს მხარდაჭერა და თანამშრომლობა ასოცირებულ წევრობამდეც მიგვიყვანს"

ერთ-ერთი ინფორმაციით, ტიმოშენკომ თავისი მხარდამჭერები თბილისში გამოაგზავნა ხავიერ სოლანასთან შესახვედრად, რომელიც საქართველოში სარკოზისთან ერთად ჩამოვიდა. ტიმოშენკო თითქოს დასავლეთში მხარდაჭერას ეძებს. მოსკოვში კი უკვე პოლიტიკური ფორმულა გამოიყვანეს: იანუკოვიჩი — პრეზიდენტი, ტიმოშენკო — პრემიერი.

სხვათა შორის, დასავლეთში მხადაჭერას ქართველი პოლიტიკოსებიც ეძებენ. მათ შორის, ნინო ბურჯანაძე და დავით გამყრელიძე, ასევე რესპუბლიკელები.

ახლა, როცა სარკოზი-მედვედევის მოლაპარაკებების ფონზე რუსეთმა თითქოს ბუფერული ზონების დატოვება დაიწყო, შიდაპოლიტიკური აშილობა იწყება. მკვეთრი განცხადებები უკვე გაკეთდა, მათ შორის სააკაშვილის გადაყენების მოთხოვნით.

კიევში ტიმოშენკო აქტიურობს, თბილისში — გაერთიანებული ოპოზიცია. ეს თბილისის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობაა. იუშენკოს მძლავრი ოპოზიციაზია ვერტიკალზე ჰყავს. მას რადაშიც ართმევს გავლენებს და კონსტიტუციაშიც. საქართველოს ხელისუფლება კი ამ მხრივ ერთიანია. სააკაშვილის გადადგომას საპარლამენტო ოპოზიციაც კი არ მოითხოვს. თუმცა როგორც ტიმოშენკო იქ, ისე გაერთიანებული ოპოზიცია აქ ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მომხრეა. და როგორც ტიმოშენკო იქ, ისე გაერთიანებული ოპოზიცია აქ დარწმუნებულია, რომ დემოკრატიისთვის ირჯება და რუსული პოლიტთამაშებისგან შორს დგას. შესაძლოა, ამ პროცესებშიც ბევრი ისეთი უხილავი დეტალია, რომლებშიც ეშმაკები იმალებიან.



**ქეთი ხატიაშვილი**

ჯერ თავო და თავოო

## შალვა ნათელაშვილისთვის უპირველესია, თავისი პარტია, შემდეგ — სამშობლო

**შალვა ნათელაშვილი ეუთოს, გაეროს, ევროკავშირსა და სხვა უცხოურ მისიებს სპეციალური კომისიის შექმნასა და ხელისუფლების მხრიდან „ლეიბორისტული პარტიის" მიმართ ხელისუფლების ბრალდებების შესწავლას სთხოვს.**

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, თანაგუნდელებთან ერთად, აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებს კომისიის შექმნას სთხოვს ყველა იმ ბრალდებისა და საკითხის შესასწავლად, რაც ხელისუფლებას ლეიბორისტული პარტიის მიმართ აქვს.

ჩვენ ვითხოვთ, სპეციალურმა კომისიამ შეისწავლოს ჩემი და ჩემი პარტიელების სამშობლოს ღალატის, ხელისუფლების გადატრიალების, ჯაშუშობისა და ციხეში ბუნტის ორგანიზების ბრალდებები. თუ ეს ბრალეულობა დაამტკიცეს უცხოურმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, კანონის გათვალისწინებით დაგვსაჯონ, თუ არა და, მოაცილონ საქართველოს მათივე დანიშნული სააკაშვილი და მისი რაზმი, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.



აღნიშნული საკითხის დაყენებას შალვა ნათელაშვილი ნატოს მინისტერიალზეც აპირებს, რომელიც თბილისში 15-16 სექტემბერს უნდა გაიმართოს.

მისი თქმით, ხელისუფლების მსხვერპლი თავად ლეიბორისტული პარტიაა, რომლის შევიწროება, დევნა, მოსმენები და ტერორისტული აქტები ხელისუფლების მხრიდან ხორციელდება.

შალვა ნათელაშვილმა პატიმრობაში მყოფი ცოტნე გამსახურდიასა და შალვა ბენიძის გათავისუფლებაც მოითხოვა, ვინაიდან „ლეიბორისტები" აღნიშნულ პირებს პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევენ.

**ინტერპრესნიუსი**

პროტესტი

## პატარების „სადიდოში" ყოფნა მარტო მთავრობაშია მიღებული

**გუშინ დედაქალაქის მერიის შენობის წინ საბავშვო ბაღების 50-მდე პედაგოგი და მშობელი გამოვიდა. ისინი ბაღებთან დაკავშირებით გიგი უგულავას გადაწყვეტილებას აპროტესტებენ. მათ დაუშვებლად მიაჩნიათ პატარების დიდებთან ერთად ერთ შენობაში ყოფნა.**

როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, საკრებულოში ბაგა-ბაღების გამგეებს აძალებენ, მერის გადაწყვეტილების შესაბამისად, ბაგა-ბაღებმა სკოლებში დაიწყონ ფუნქციონირება.

პედაგოგები თანახმა არიან, საბავშვო ბაღებმა მუშაობა პირველ ოქტომბრამდე არ დაიწყონ და, დევნილების გაყვანასთან ერთად, მოხდეს მათი ეტაპობრივი დაბრუნება საბავშვო ბაღის შენობებში.

პედაგოგები აცხადებენ, რომ აქციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვეტენ, თუ მათი მოთხოვნები შესრულდება. პედაგოგებს კულტურისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა შეხვდა.

დედაქალაქში რესურსები დევნილთა განსახლებასთან დაკავშირებით ამოწურულია. უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, დავეხმაროთ დევნილებს. სხვა გადაწყვეტილება ქვეყნისთვის ღალატი იქნება. — განაცხადა მამუკა ქაცარავამ.

მისივე თქმით, დედაქალაქში რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულები 250-მდე სახელმწიფო შენობაში არიან განთავსებული. დღეისთვის თბილისში კომპაქტურად ჩასახლებული დაახლოებით 27 ათასი დევნილი იმყოფება და მათ 156 მოქმედი საბავშვო ბაღის შენობა უკავიათ.

როგორც შეხვედრის შემდეგ პედაგოგებმა განაცხადეს, კულტურისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა მამუკა ქაცარავამ მათ განუცხადა, რომ წლის ბოლომდე მიეცემათ ხელფასები, შემდეგ გაფორმდება ხელახალი კონტრაქტები, ხოლო საბავშვო ბაღები ფუნქციონირებას სამი თვის შემდეგ დაიწყებენ.

პედაგოგები და მშობლები მოითხოვენ, რომ დედაქალაქის ხელმძღვანელობის ეს პირობა შესრულდეს და სამი თვის შემდეგ საბავშვო ბაღებმა ფუნქციონირება შეძლონ. ისინი თანახმა არიან, რომ საბავშვო ბაღებმა მუშაობა განაახლონ ეტაპობრივად, შენობებიდან დევნილების გამოყვანის პარალელურად.

**ინტერპრესნიუსი**

◉ თვალსაზრისი

***სარკოზი-მედვედევის ოთხსაათიანი მოლაპარაკების შედეგმა ცხადყო, რომ დასავლეთის დიპლომატიურმა ზემოქმედებამ კრემლის უდიერი პოლიტიკა გარკვეულწილად „მოალბო“, თუმცა იმ გამოთქმისა არ იყოს — კუზიანი სამარეში გასწორდებისო — საბჭოთა კავშირის აღგენაზე მეოცნებე მოსკოვს იმპერიალისტური ზრახვების „ალაგ-ალაგ“ განხორციელებაზე ხელს მაინც ვერავინ აალებინებს...***

***მაშ რას უნდა ველოდეთ მომავალში? იქნება თუ არა ევროკავშირი საქართველოს უსაფრთხოების გარანტი და გვაქვს თუ არა რამე შანსი, რომ, თუნდაც შორეულ მომავალში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ისევ დავიბრუნებთ? ამ და სხვა საკითხებზე ექსპერტ გია ხუხაშვილს ვესაუბრეთ.***

# გია ხუხაშვილი:

# სააკაშვილმა უპირობო კაპიტულაციას მოაწერა ხელი



**— ბატონო გია, გაეცანით თუ არა სარკოზი-მედვედევის დოკუმენტს და როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ის ჩვენთვის, ანუ რეალურად რას მოვაწერეთ ხელი?**

— დოკუმენტს დეტალურად არ ვიცნობ, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ის სამი პუნქტი, რომელიც დაემატა ე. წ. ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიან ხელშეკრულებას, ძალიან წააგავს კაპიტულაციას, ანუ ფაქტობრივად ჩვენ ხელი მოვაწერეთ ყველაფერ იმაზე, რასაც რუსეთი მიზნად ისახავდა, როცა ახდენდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. ამით კრემლის მოთხოვნები უპირობოდ დავაკმაყოფილეთ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას აღმოაჩნდა დამარცხების გამარჯვებად შერაცხვის გასაოცარი ნიჭი. ამაში არაერთხელ დავრწმუნდით... მიმაჩნია, რომ დასაკვეხნი არაფერი გვაქვს. ჩვენ გვახსოვს, რუსეთი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ერთადერთ რამეს მოითხოვდა — საქართველოს უნდა მიეცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის თავდაუსხმელობის გარანტია. დღეს ეს გარანტიაც იქნა გაცემული და „გამაგრებული“ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ... ამასობაში რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა და ჩვენ დავკარგეთ კონფლიქტის ზონის ის ტერიტორიები, რომლებსაც ომამდე ვაკონტროლებდით... არ მინდა, ამას კატასტროფა დავარქვა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ჩვენ დღეს ვართ ვარდნის პროცესში, ანუ ჩვენი მთავარი ამოცანა ის კი არ არის, რომ ქვეყანა გავამთლიანოთ, არამედ ის, რომ როგორმე შევაჩეროთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის რღვევის პროცესი, რაც ძალიან „კარგად უზრუნველყო“ ამ ხელისუფლებამ... ის, რაც ვერ მოასწრო წინა მთავრობამ, სისრულეში მოიყვანა სააკაშვილმა.

**— შეიძლებოდა თუ არა სააკაშვილს უარი ეთქვა სარკოზის ჩამოტანილ დოკუმენტზე ხელის მოწერაზე?**

— დღევანდელ ვითარებაში, ეს ფაქტობრივად მეუძლებელი იყო, თუმცა პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფალი, იმის გამო, რომ მეორე მხარე მასთან დიალოგზე უარს ამბობდა, გადადგებოდა და ქვეყანას მისცემდა მანევრის საშუალებას, ანუ პოლიტიკურ სადავეებს გადააბარებდა ვინმე ისეთს, ვინც მეტნაკლებად, რუსეთისთვის მისაღები იქნებოდა...

**— ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი?**

— დაკონკრეტება გამიჭირდება, თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს — მოსახდენი მოხდა, რაზეც „ვინმემ“ პასუხი უნდა აგოს. მგონი, გასაგებია, ვისაც ვგულისხმობ.

**— თქვენ თქვით, რომ „სარკოზ-მედვედევის“ დოკუმენტზე ხელის მოწერა ჩვენი მხრიდან უპირობო კაპიტალუციის ტოლფასი იყო. კონკრეტულად დოკუმენტის რომელი პუნქტი გაძლევთ ამის თქმის საბაბს?**

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენს ხელისუფლებას მთავარ მიღწევად ევროკავშირიდან ორასკაციანი სადამკვირვებლო ჯგუფის გამოგზავნის შესახებ მიღწეული შეთანხმება მიაჩნია, როგორც მოგეხსენებათ, ეს სადამკვირვებლო ჯგუფი ბუფერულ ზონაზე განლაგდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი გააკონტროლებენ არა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რომელთაც რუსეთი უკვე კონფლიქტის ზონებად აღარ განიხილავს, არამედ საქართველოს იმ ტერიტორიებს, რომლებიც შორსაა კონფლიქტური რეგიონებიდან, ამით რუსეთმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უსაფრთხოების გარანტია შეუქმნა, რომელსაც თავდებად უდგას ევროპა. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამას ბოლომდე ვერ აცნობიერებს.

სააკაშვილი ახლა აგონიაშია. ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ შეინარჩუნოს პრეზიდენტის სკამი.

**— ისევ სარკოზ-მედვედევის დოკუმენტზე გკითხავთ, მის დადებით მხარეებზე რას იტყვით?..**

— დადებითი მხარე ის იყო, რომ რუსეთმა საომარი მოქმედებები შეწყვიტა. რა თქმა უნდა, დასავლეთის მისამართით მხოლოდ მადლობა გვეთქმის, მაგრამ ის, რაც მათ გააკეთეს, მათი შესაძლებლობის მაქსიმუმი აღმოჩნდა.

**— როგორ ფიქრობთ, თავად დასავლეთისთვის რამდენად დამაკმაყოფილებელია ეს დოკუმენტი?**

— ვფიქრობ, ამ სიტუაციაში ევროკავშირი საქართველოზე არ ფიქრობს. მას აქვს საკუთარი ინტერესები და მისი გადაწყვეტილებები სწორედ ამ ინტერესებიდან მოდის.

**— რაც შეეხება აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ევროკავშირი გმობს რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარებას. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რაში შეიძლება ეს აისახოს?**

— კონკრეტულად არაფერში არ აისახება — ამ ეტაპზე რუსეთი თავად არ არის დაინტერესებული იმით, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი სხვა ქვეყნებმაც ცნონ, იმიტომ, რომ ამით მან შეიძლება კონტროლი დაკარგოს ამ ორ ანკლავზე. როგორც კი რუსეთი „დაამთავრებს“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინტეგრირებას საკუთარ სივრცეში, დაიწყებს საუბარს იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი აღიარება სხვა სახელმწიფოების მიერაც. მგონი ეს დრო შორს არ არის...

...ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო, მე არ ვგულისხმობ მარტო ხელისუფლებას, იმიტომ რომ თუ ხელისუფლება რამეს აშავებს, დამნაშავე ჩვენც ვართ, რადგან სწორედ ჩვენ ავირჩიეთ იგი.

**— მაშ, როგორ ფიქრობთ, სამუდამოდ დაკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო თუ რაღაც შანსი კიდევ გვრჩება?**

— არ მინდა ამ საკითხზე პესიმისტურად ვისაუბრო, თუმცა რომ გითხრათ, იმედი მაქვს ახლო მომავალში აფხაზეთსაც დავიბრუნებთ და სამაჩაბლოსაც-მეთქი, ცოტა არ იყოს არასერიოზული განცხადება გამომივა. რაღაც შანსები ალბათ მაინც გვაქვს, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, როგორი, მაგრამ ვფიქრობ, ადრე თუ გვიან ეს საკითხი მოგვარდება.

**— რაც შეეხება ოპოზიციას, ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ, როგორც კი რუსეთის ჯარები გავა, საქართველოში შიდაარეულობა დაიწყება. თქვენ რას იტყვით, რამდენად მოსალოდნელია, ოპოზიციამ შიდაარეულობა მოაწყოს? ახალმა მემარჯვენეებმა უკვე მორატორიუმი მოხსნეს.**

— ჯერ ერთი მორატორიუმი ახალ მემარჯვენეებს არ მოუხსნიათ, მორატორიუმი მოხსნა ხელისუფლებამ იმით, რომ არჩევნები დანიშნა. დავით გამყრელიძემ გააკეთა აბსოლუტურად ადეკვატური განცხადება, მან თქვა ის, რასაც ფიქრობდა... დღეს ქვეყანაა დამარცხებული, ხოლო მარცხზე პასუხისმგებელი — ხელისუფლება. არეულობა თუ დაიწყება, ისიც ხელისუფლების მიერ იქნება ინიცირებული, იმიტომ, რომ ხალხი ქუჩაში მაშინ გამოდის და არეულობა მაშინ იწყება, როცა ამის საბაბს ხელისუფალი გვაძლევს.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

◉ ინფორმაცია

## ისინი ჩვენ გვიცავდნენ, ახლა მთავრობისგან დავიცვათ!

**თავდაცვის** სამინისტროს მე-4 ბრიგადის 42-ე ბატალიონიდან დათხოვნილმა 34-მა ჯარისკაცმა საკუთარი უფლებების დაცვის მოთხოვნით საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარს მიმართა.

როგორც სახალხო დამცველის მოადგილემ სოფიკო ხორგუანმა განაცხადა, ჯარისკაცები აღნიშნავენ, რომ მათზე დეზერტირობის მუხლით გამოძიებაა დაწყებული.

ჯარისკაცების განცხადების მიხედვით, ისინი საბრძოლო მოქმედებებში 2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ მონაწილეობდნენ. განვითარებული მოვლენების დროს, როდესაც ავიაცია ტერიტორიას ბომბავდა, ჯარისკაცები გაიფანტნენ, რის შემდეგაც ისინი სამხედრო ბაზას დაუბრუნდნენ. ბაზაზე დაბრუნებულ ჯარისკაცებს უთხრეს, რომ გათავისუფლებულები იყვნენ და დეზერტირობაზე გამოძიება იყო დაწყებული. მათ ყველა მოწმობა და ბარათები ჩამოართვეს, — განაცხადა ხორგუანმა.

მისივე ინფორმაციით, სახალხო დამცველისთვის ჯარისკაცებს, გარდა ამ განცხადებისა, არ წარუდგენიათ სხვა არანაირი დოკუმენტი, რაც მათ გათავისუფლებას დადასტურებდა.

როგორც ხორგუანმა აღნიშნა, სახალხო დამცველმა თავდაცვის სამინისტროს მიმართა და სამსახურიდან ჯარისკაცების დათხოვნის შესახებ ბრძანებები ითხოვა, ასევე მოტივაცია, თუ რატომ გაათავისუფლეს ისინი.

გარდა ამისა, ჩვენ ვითხოვთ ინფორმაციას, შეიარაღებული ძალებიდან რამდენი ადამიანია დათხოვილი და რა საფუძვლით, რამდენზეა გამოძიება დაწყებული და რამდენზე — დისციპლინური დევნა. ჩვენ ამ წერილით თავდაცვის სამინისტროს 5 სექტემბერს მივმართეთ. მათ ორკვირიანი ვადა აქვთ პასუხის გასაცემად, — აღნიშნა ხორგუანმა.

## საჩხერელ ტყვეებს დახოცავენ, თუ თარგამაძე ოსების პირობებს არ შეასრულებს

**ოსების** მიერ დატყვევებული პირების გაცვლის დაჩქარების მოთხოვნით, საჩხერის სოფელ სპეთის მოსახლეობა პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვს.

მოსახლეობა აცხადებს, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღოს თუნდაც მხოლოდ ერთ-ერთი დატყვევებულის იმედა ტაბატაძის 10 შვილის დედა ევნიკო ტაბატაძე.

აქციის მონაწილეებს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის თანაშემწე მზია ლალიაშვილი შეხვდა და უთხრა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს საჩხერის რაიონიდან გატაცებული ოთხი ახალგაზრდის გასათავისუფლებლად.

მისივე განცხადებით, დაუკავშირდება პრეზიდენტის ადმინიტრაციას და გადასცემს თხოვნას აქციის ერთ-ერთ მონაწილესთან შეხვედრის შესახებ.

დატყვევებულთა ახლობლების განცხდებით, მათ 13 დღის განმავლობაში ვერ მიიღეს ნორმალური პასუხი, თუ კონკრეტულად რას ითხოვენ გამტაცებლები ან როგორი სახით მიმდინარეობს მათთან მოლაპარაკებები. სავარაუდოდ, საუბარია ქართველი ტყვეების მარეკ დუდაევზე გაცვლის შესახებ.

ერთ-ერთი გატაცებულის და მადონა ქიმაძე აცხადებს, რომ მხოლოდ გუშინ დაურეკეს ქართულად მოლაპარაკე ოსმა სეპარატისტებმა და უთხრეს, რომ მოეთხოვათ უშუალოდ გივი თარგამაძესთან შეხვედრა და მისთვის გადაეცათ მოთხოვნები: უპირობოდ შეასრულოს საქართველოს ხელისუფლებამ სეპარატისტთა მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყვეებს დახოცავენ.

სოფელ სპეთიდან 13 დღის წინათ ოსმა შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს ოთხი ახალგაზრდა, იმედა ტაბატაძე, რომან ქიმაძე, ალიკა ქიმაძე და გია გულიაშვილი, რომელთაგან ერთ-ერთი გულის მანკით არის დაავადებული.

არსებული ინფორმაციით, ისინი მდინარე ძირულას ხეობაში, ტყეში შეშის დასამზადებლად იმყოფებოდნენ.

სოფელი სპეთი სოფელ პერევთან ახლოს მდებარეობს, სადაც ამ დროისთვის რუსი ოკუპანტები კვლავ რჩებიან.

## დევნილებმა შეღავათებით უნდა ისარგებლონ

**საქართველოს** სახალხო დამცველი ითხოვს, სასწავლო თანხების გადახდისას დევნილებმა შეღავათებით ისარგებლონ.

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, სახალხო დამცველს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა თეიმურაზ ქორიძემ შეატყობინა, რომ აგვისტოს მოვლენების გამო უნივერსიტეტი სასწავლო გადასახადიდან ათავისუფლებს სოფელ კარალეთის მკვიდრ სტუდენტს. რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ უკვე წლებია, უნივერსიტეტში შეღავათებით სარგებლობენ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი სტუდენტები.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს სახალხო დამცველმა 20 აგვისტოს მიმართა და დევნილი სტუდენტებისთვის შეღავათების შესახებ ინფორმაცია მოითხოვა.

საომარი მოქმედებების შემდეგ სახალხო დამცველს სხვადასხვა პრობლემებთან და მათ შორის სასწავლო თანხის გადახდასთან დაკავშირებით ინტენსიურად მიმართავდნენ შიდა ქართლის რეგიონიდან დევნილები. მოცემულ სიტუაციაში, დევნილებს არ გააჩნიათ არავითარი შემოსავალი და შესაბამისად, ვერ შეძლებენ სასწავლო დაწესებულებასთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

სახალხო დამცველმა ინფორმაციის მიწოდების თხოვნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გია ნოდიასაც მიმართა. სახალხო დამცველს აინტერესებდა, გავრცელდება თუ არა შეღავათები დევნილ მოსახლეობაზე, რომლებიც სწავლობენ დამოუკიდებელ უნივერსიტეტში და სასწავლო თანხის გადახდას უზრუნველყოფდნენ საკუთარი სახსრებით; რა ბედი ეწევათ იმ სტუდენტებს, რომლებიც წელს ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში (რომლებმაც ვერ მოიპოვეს სახელმწიფო დაფინანსების სუბსიდია) და რა სახის შეღავათები იქნება მათთვის დაწესებული.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობისა, სახალხო დამცველმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს სთხოვა, დაინტერესდეს და იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებზე, ვინაიდან ინტერესი ამასთან დაკავშირებით დევნილი მოსახლეობის მხრიდან ძალიან დიდია.

ინტერპრესნიუსი

◎ გუშინ, დღეს...

***რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობაში ერთი შეხედვით თითქოს განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ომები, ხანმოკლე თუ ხანგრძლივი ზავები, ტერიტორიის გადანაწილება და გავლენის სფეროს დადგენა — სახელმწიფოების ურთიერთობაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყოველივე ამის მიღმა აშკარად ჩანს ერთი კანონზომიერება: რუსეთი ევროპისთვის წარმოადგენდა საფრთხეს. საფრთხეში, ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ მხოლოდ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიის ერთბაშად მიტაცებას ან გავლენის სფეროს მოპოვებას. საფრთხეს ქმნიდა რუსეთის მისწრაფება, გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინა ევროპაში და ემართა ევროპის სახელმწიფოები. ამ იდეის გაჩენის დროისათვის და შემდეგ საუკუნეებშიც რუსეთი პოლიტიკური, ეკონიმიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დონით ბევრად ჩამოუვარდებოდა ევროპის სახელმწიფოებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ იდეას განხორციელება არ ეწერა. რუსეთში ასე არ ფიქრობდნენ. გაცილებით მაღალგანვითარებულ სამყაროზე ბატონობას რუსეთი დიდი არმიის საშუალებით აპირებდა. რუსეთს შეეძლო იმოდენა ლაშქარი შეეკრიბა, რამდენსაც ორი-სამი ევროპული სახელმწიფო ერთად ვერ შეკრებდა. მიუხედავად ამისა, ევროპის ქვეყნების დაპყრობას და იქ საოკუპაციო რეჟიმის ერთბაშად დამყარებას რუსეთი ვერ შეძლებდა. სამაგიეროდ, რუსეთს შეეძლო გამუდმებული, ხანმოკლე და ხანგრძლივი ომებით ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მსვლელობა დაერღვია, შეეფერხებინა ეკონომიკის სტაბილური განვითარება, დაეძაბა ვითარება. გარკვეული პერიოდიდან რუსული სახელმწიფოებრიობა სწორედ ამ იდეის რეალიზებაზე აეწყო. ევროპისათვის ეს მეტად საშიში იყო. ევროპის სახელმწიფოები რუსული სახელმწიფოს წესით ვერ იარსებებდნენ. ევროპას ხსნის სხვა გზა უნდა ეპოვნა. ამ გზის პოვნა კი ადვილი არ აღმოჩნდა.***

# რუსული საფრთხე ევროპისთვის

## ისტორია. თანამედროვეობა. პერსპექტივა

რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, **კიევის რუსეთის** არსებობის პერიოდში (IX-XII სს.ძ, შეიძლება ითქვას, არც არსებობდა. ეს განპირობებული იყო ორი მიზეზით: **პირველი.** კიევის რუსეთში სახელმწიფოებრიობა ის-ის იყო ყალიბდებოდა, ევროპასთან დაპირისპირებისათვის აუცილებელი ეკონომიკური სიძლიერე და მრავალრიცხოვანი არმია კიევის რუსეთს არ გააჩნდა. იმხანად მთელი ძალები ბიზანტიის წინააღმდეგ იყო მიმართული. **მეორე.** კიევის რუსეთს თავს ესხმოდნენ აღმოსავლეთიდან მოსული მომთაბარე ხალხები (პაჭანიკები, ყივჩაღებიძ. მომთაბარეებთან მუდმივი ომები, დაძაბული ვითარება (პაჭანიკები და ყივჩაღები კიევამდე აღწევდნენძ კიევის რუსეთის დასავლეთით აქტიურობას შეუძლებელს ხდიდა. რუსეთი, როგორც ვეროპისათვის საშიში ძალა, საცნაური ხდება **მოსკოვის რუსეთის** ჩამოყალიბების პერიოდიდან (XV საუკუნიდანძ.



ის რეალურ საფრთხედ გვევლინება მოსკოვის რუსეთის დიდი მთავრის **ივანე III-სა (1462-1505)** და მეფე **ივანე IV მრისხანის (1533-1584)** მმართველობის წლებში. ამ პერიოდში რუსეთმა მიზნად დაისახა: **ევროპისათვის ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა და მისი კონტროლი.** რუსეთში კარგად იცოდნენ, რომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის დახურვა ევროპის სახელმწიფოებს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა. ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა (1453 წ.ძ და ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ოსმალეთის გაბატონება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებსა და მთლიანად შავ ზღვაზე, ევროპას აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის გზები გადაკეტა. ვითარება კიდევ უფრო გართულდა ხმელთაშუა ზღვაში ოსმალეთის პოზიციების განმტკიცებით. ევროპის სახელმწიფოებს აზიასთან სავაჭრო კავშირი რუსეთზე გამავალი გზებით უნდა დაემყარებინა. ერთ-ერთი ასეთი გზა **თეთრი ზღვის** სანაპიროზე, **ქ. არხანგელსკთან** იწყებოდა. გზა ჯერ ხმელეთზე გადიოდა, ხოლო შემდეგ მდ. **ვოლგით კასპიის ზღვამდე, ქ. ასტრახანამდე** აღწევდა. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროდან ერთი სახმელეთო გზა აღმოსავლეთით, **ინდოეთისაკენ,** მიემართებოდა, მეორე სამხრეთისაკენ, **სპარსეთისაკენ და არაბული ქვეყნებისაკენ.** აზიისაკენ მიმავალი მეორე გზა **ბალტიის ზღვის** ნავსადგურებთან იწყებოდა, შემდეგ გზა მდ. **ვოლგაზე** გრძელდებოდა და **კასპიის ზღვამდე,** ქ. **ასტრახანამდე** აღწევდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა, ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები რუსეთს რომ ეფექტურად აემოქმედებინა, ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად განვითარდებოდა და რუსეთიც ევროპულ სამყაროს მჭიდროდ დაუკავშირდებოდა. დაიწყებოდა ორივე მხარისათვის სასარგებლო ურთიერთობა. რუსეთმა სხვა გზა აირჩია.

ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი გზის ევროპისათვის დახურვა რუსეთმა უპირველეს ამოცანად დაისახა და ამ მიზნის მიღწევისათვის შემდეგი ღონისძიებები განახორციელა:

**პირველი.** დაიწყო ომი ბალტიისპირეთის დაპყრობისათვის. რუსეთს სურდა ბალტიის ზღვის სანაპიროების დაპყრობა და ევროპისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სავაჭრო გზის საწყისი პუნქტების ხელში ჩაგდება. მართალია ოცდახუთწლიანი ომი (1558-1583 წწ.ძ რუსეთის მარცხით დასრულდა, მაგრამ **ივანე IV მრისხანემ** ის მაინც შეძლო, რომ ბალტიის ზღვიდან აზიისაკენ მიმავალი გზა ევროპამ პრაქტიკულად ვერ გამოიყენა.

**მეორე.** რუსეთი ცდილობდა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცე სხვა მიმართულებითაც დაეცვა. ამ მიზნით რუსეთმა ბელორუსიის ტერიტორიაზე ლიტვის სახელმწიფოს შევიწროვება სცადა. 1492-1494 წლებსა და 1500-1503 წლებში ივანე III-ს ომი ჰქონდა ლიტვასთან. ომები შემდგომშიც გრძელდებოდა.

**მესამე.** ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა ითხოვდა უკრაინაში პოლონეთის პოზიციების შესუსტებას და ყირიმის სახანოს ლიკვიდაციას. ეს ამოცანა XVI საუკუნეში ვერ გადაიჭრა. რუსეთმა იმას კი მიაღწია, რომ 1552 წელს ყაზანის, ხოლო 1556 წელს ასტრახანის მონღოლური სახანოები გაანადგურა და ევროპის სახელმწიფოებს უკრაინის გავლით ასტრახანამდე მიღწევისა და კასპიის საზღვაო გზის გამოყენების საშუალება მოუსპო.

ამრიგად, XV-XVI საუკუნეებში რუსეთმა შეძლო არ დაეშვა რუსეთის გავლით ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი სავაჭრო გზების ამოქმედება, რითაც ძლიერი დარტყმა მიაყენა ევროპის ქვეყნების ეკონომიკას. ეკონომიკურად რუსეთიც ძლიერ დაზარალდა. (ამ შემთხვევაში მხოლოდ ტრანზიტით მიღებულ შემოსავალს არ ვგულისხმობთძ. ომებმა ბალტიისპირეთში, პოლონეთთან, ლიტვასთან, ყირიმისა და ასტრახანის სახანოებთან, რუსეთის ეკონომიკას დიდი ზიანი მოუტანა. ამის მიუხედავად **რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, არსებობას განაგრძობდა და ამ „მისიის" გაგრძელებაზე უარის თქმას არ აპირებდა.**

ევროპის ქვეყნები, ქრისტიანულ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება რომ ვერ შეძლეს, ოსმალეთისა და სპარსეთის ხელისუფლებას მოურიგდნენ. გარკვეული პერიოდიდან ეფექტიანად ამოქმედდა სავაჭრო გზა ოსმალეთისა და სპარსეთის ტერიტორიის გავლით. სავაჭრო გზამ ამ ქვეყნებმა დიდი შემოსავალი მოუტანა.

XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დამდეგს რუსეთი დასუსტდა, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა მოიშალა, ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. ამით ისარგებლეს **შვედეთმა და ჟეჩ პოსპოლიტამ** და რუსეთს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაატოვებინეს. როგორც კი რუსეთი წელში გაიმართა, ევროპისათვის ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა კვლავ აქტუალური გახდა. მეფე **ალექსი მიხეილის ძის (1645-1682)** მმართველობის პერიოდში რუსეთმა უკრაინის დაპყრობის მიზნით ჟეჩ პოსპოლიტას წინააღმდეგ ხანგრძლივი ომი (1654-1667 წწ.ძ აწარმოვა და უკრაინის ნაწილი (დნეპრის მარცხენა სანაპიროძ დაათმობინა ჟეჩ პოსპოლიტას.

რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, მთელი სისრულით წარმოჩნდა **პეტრე I-ის (1696-1725)** და მისი მემკვიდრეების დროს. ამ პერიოდისთვის (XVIII საუკუნის დამდეგიძ ევროპას აზიის ქვეყნებთან სახმელეთო და საზღვაო გზებით ვაჭრობა შესანიშნავად ჰქონდა აწყობილი და ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის დახურვა ევროპის სახელმწიფოებს დიდად არ აღელვებდათ. **ევროპისათვის უფრო აქტუალური იყო თვით რუსეთის ბაზარი.** რუსეთის ბაზარზე შეღწევისათვის ევროპის სახელმწიფოებს აუცილებლად სჭირდებოდათ ბალტიისა და თეთრი ზღვის სანაპიროზე არსებული ნავსადგურების ამოქმედება, **თეთრი ზღვა — ვოლგა — კასპიის ზღვა და ბალტიის ზღვა — ვოლგა — კასპიის ზღვა** სავაჭრო გზების ეფექტიანად გამოყენება. პეტრე I-ის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ევროპის სახელმწიფოებს რუსეთის ბაზრის ათვისების ხალისი დაუკარგა. პეტრე I ცდილობდა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობაში აქტიური ბალანსის შენარჩუნებას, ანუ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით რუსული საქონელი გაეტანა ევროპაში და ნაკლები შემოეტანა. ამიტომ იყო, რომ რუსეთსა და ევროპას შორის ვაჭრობის მასშტაბები ძალზე შეიზღუდა. ევროპის სახელმწიფოებს რუსეთიდან მხოლოდ აუცილებელი საქონელი გაჰქონდათ და ისიც ძალზე შეზღუდული რაოდენობით.

პეტრე I არ იყო ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი. მას კონსტანტინეპოლის დაცემის (1453 წ.ძ შემდეგ მოსკოვის რუსეთის მიერ გაცხადებული დოქტრინის — **„მოსკოვი — მესამე რომი, მეოთხე აღარ იქნება"** — მხოლოდ პოლიტიკური (უფრო ზუსტად, სამხედრო-პოლიტიკურიძ ასპექტი აინტერესებდა. რეალურად „მესამე რომის" იდეის რეალიზება პეტრე I-მა დაიწყო. რუსეთის აგრესია რამდენიმე მიმართულებით განვითარდა:

1. 1696 წ. — აზოვის ციხე-სიმაგრის აღება და მდ. დონის შესართავის მიტაცება;
2. 1700-1721 წწ. — ბალტიისპირეთის დაპყრობა და შემოერთებული ტერიტორიის ათვისების დაწყება;
3. 1708-1709 წწ. — უკრაინისა და ბელორუსიის ნაწილის მიტაცება;
4. 1711 წ. — რუსეთის არმიის შეჭრა დუნაისპირეთში და ბალკანეთის დაპყრობის მცდელობა;
5. 1722-1723 წწ. — რუსეთის არმიის შეჭრა კასპიისპირეთში და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობის მცდელობა.

იხ. 6 გვ.

◎ აფხაზთა ზმანებანი

## ქართველების ჯაშუში თუ აფხაზი ფოტოგრაფი?

**აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები პროვოკაციებს განაგრძობენ.** სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებმა განცხადეს, თითქოს მათ ჯაშუში დააკავეს, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდა. აფხაზური მხარის ინფორმაციით, დაკავებული ჯაშუში ქალია და იგი სოხუმის მკვიდრი დიანა შედანიაა.

სეპარატისტების ე.წ. უშიშროების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული ქალბატონი თბილისში ნათესავების მოსანახულებლად ხშირად დადიოდა და ერთი წლის წინათ იგი საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა თანამშრომლობაზე დაითანხმეს.

სეპარატისტები იმ ადამინსაც ასახელებენ, ვისთან დიანა შედანია საქართველოში პირადად კონტაქტობდა. მათი თქმით, ეს კახაბერ კვარაცხელიაა.

დაკავების შემდეგ შედანიამ აღიარა, რომ მატერიალური ჯილდოს სანაცვლოდ იგი საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებს დათანხმდა აფხაზეთიდან მათთვის საინტერესო ინფორმაცია მიეწოდებინა, — იუწყება აფხაზური მხარე და იქვე აღნიშნავს, რომ შედანია ერთი წლის განმავლობაში საქართველოს სპეცსამსახურების დავალებით აწარმოებდა აფხაზეთის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო შენაერთების ფოტოგადაღებას და მათი დისლოკაციის ადგილების დაფიქსირებას.

შედანია საქართველოს სპეცსამსახურებს აწვდიდა ინფორმაციას აფხაზი მესაზღვრეების განლაგების, მძიმე ტექნიკის დისლოცირებისა და სამხედრო საწყობების შესახებ, — იუწყება აფხაზური მხარე.

ამას გარდა, მათივე ინფორმაციით, შედანიამ მდინარე ფსოუს საზღვართან ასევე აწარმოა რამდენიმე სახის ვიდეოგადაღება.

შეგროვებულ მასალებს და ფაქტებს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ, შედანია საქართველოში ყოფნისას საქართველოს სპეცსამსახურებს აწვდიდა. შედანიას წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუშობის მუხლით. მიმდინარეობს გამოძიება, — იუწყება აფხაზური მხარე.

ХО-ЭОВ-ЭНО

გუშინ, დღეს...

# რუსული საფრთხე ევროპისთვის

(მეხუთე გვერდიდან)

**პეტრე I-მა პრაქტიკულად რუსეთის კონტროლს დაუქვემდებარა უზარმაზარი სივრცე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე – პეტერბურგიდან აზოვის ციხესიმაგრემდე.**

პეტრე I-ის მეფობის წლებში გამოიკვეთა სამი სტრატეგიული მიმართულება – რუსეთის მომავალი აგრესიის სფეროები:

**პირველი.** დასავლეთით (ბელორუსიის გავლით პოლონეთისაკენ);

**მეორე.** სამხრეთ-დასავლეთით (უკრაინის გავლით ბალკანეთისაკენ);

**მესამე.** სამხრეთით (დნეპრის ქვემო წელით ყირიმის ნახევარკუნძულისაკენ);

**მეოთხე.** სამხრეთ-აღმოსავლეთით (ვოლგის დელტიდან კასპიის ზღვის სანაპიროთი სამხრეთ კავკასიისაკენ).

ხსენებული ოთხი სტრატეგიული მიმართულებიდან მთავარი იყო პირველი (დასავლეთისა) და მეორე (სამხრეთ-დასავლეთისა). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბალტიისპირეთში მყარად დამკვიდრებული რუსეთი ევროპაში შეჭრისათვის ემზადებოდა. რუსეთმა კარგად გამოიყენა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული დაპირისპირება. კერძოდ პრუსიის გაძლიერებით შეშფოთებულმა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა (საფრანგეთი, ავსტრია და სხვ.) დახმარებისათვის რუსეთს მიმართეს. იმპერატორი **ელისაბედ I (1741-1761)** ანტიპრუსიულ კოალიციაში ჩაება. შვიდწლიანი ომის (1757-1763 წწ.) დროს რუსეთმა პრუსიის არმია გაანადგურა და 1760 წელს ბერლინიც დაიკავა. მართალია რუსეთმა პრუსიის ტერიტორია მალევე დატოვა, მაგრამ პრუსიამ, როგორც რუსეთის მეტოქემ ბალტიისპირეთში, სერიოზული დარტყმა განიცადა.

მალე რუსეთმა ახალი წარმატებები მოიპოვა. პრუსიასთან და ავსტრიასთან ერთად დასუსტებული ჟეჩ პოსპოლიტას სამი დანაწილებით (1772, 1793, 1795 წლებში) პოლონეთის დიდი ნაწილი (ვარშავითურთ) მიიტაცა. **ეკატერინე II-მ (1762-1796)** ოსმალეთთან ომში ორგზის (1768-1774 და 1787-1791 წლებში) გამარჯვების შემდეგ ყირიმის სახანო შეიერთა და მთელ შავიზღვისპირეთში გაბატონდა. რუსეთს ბალკანეთში შეჭრის რეალური შესაძლებლობა მიეცა.

**ამრიგად, პეტრე I-ის მიერ დასახული ოთხი სტრატეგიული მიმართულებიდან მისმა მემკვიდრეებმა სამი მიმართულებით (დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის) დიდი წარმატებები მოიპოვეს. რუსეთი ევროპისათვის რეალურ საფრთხედ იქცა.**

რუსეთისაგან მომდინარე დიდი საფრთხე ზუსტად შეაფასა **ნაპოლეონმა** და გადამჭრელი ღონისძიებებიც განახორციელა. ნაპოლეონი კარგად ხედავდა, რომ XVIII საუკუნეში რუსეთის მიერ ბალტიისპირეთის, პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილის, ბელორუსიის, უკრაინის, ყირიმის ნახევარკუნძულისა და მთელი ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა პრაქტიკულად დასავლეთ ევროპისათვის ომის გამოცხადებას მოასწავებდა. ევროპა რუსეთთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომების ნაყოფს იმკიდა. ამ ურთულეს ვითარებაში ნაპოლეონმა რუსეთის ევროპული სამყაროს ნაწილად გადაქცევის იდეა წამოაყენა. **ევროპა და რუსეთი ერთ სამყაროდ უნდა ქცეულიყო.** მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვეტდა რუსეთი ევროპის საფრთხედ არსებობას. ამ დიდი იდეის რეალიზებისათვის აუცილებელი იყო ერთი წინაპირობის შესრულება – ნაპოლეონს რუსეთის არმია უსწრაფესად უნდა გაენადგურებინა. 1812 წელს ნაპოლეონი რუსეთთან ომში დამარცხდა და დიდი იდეაც დასამარდა. ევროპელი მონარქები ნაპოლეონის დამარცხებას ზეიმობდნენ და ვერც კი ამჩნევდნენ, რომ გამარჯვებული რუსეთი ევროპას კიდევ უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნიდა. ვენის კონგრესი და „საღვთო კავშირის" შექმნა (1814-1815 წწ.) ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა.

„საღვთო კავშირმა", მიუხედავად იმისა, რომ მან ევროპაში რუსეთის ყოფნა დააკანონა, დადებითი როლი შეასრულა – ევროპა ასი წლის განმავლობაში (1815-1914 წწ.), ასე თუ ისე, ერთ სამყაროს წარმოადგენდა. ეს სამყარო პირველი მსოფლიო ომის დაწყებით (1914 წ.) დაინგრა. ამაში რუსეთს ვერ დავადანაშაულებთ – სხვა სახელმწიფოების ბრალი გაცილებით დიდი იყო.

1917 წელს, დიდი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის (შემდეგში საბჭოთა კავშირის) ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა ძველი იდეის ხორცშესხმა დაიწყეს – **რუსეთი (საბჭოთა კავშირი) ევროპის საფრთხედ აქციეს.** „მსოფლიო რევოლუციის" კომუნისტური იდეა, პირველ რიგში, სწორედ ევროპის წინააღმდეგ იყო მიმართული. რუსეთისაგან მომდინარე საფრთხე ევროპაში ზუსტად აღიქვეს. 1918-1920 წლებში ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი) და ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ძალითა და „თეთრი მოძრაობისადმი" მხარდაჭერით ცდილობდნენ რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას, მაგრამ ამაოდ. მარცხის შემდეგ დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები რუსეთთან თანამშრომლობის (დე ფაქტო აღიარების) გზას დაადგნენ. ასეთი პოლიტიკა შექმნილი ვითარებით იყო განპირობებული.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების (1918 წ.) შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა დაიძაბა. ომისაგან დანგრეულ ევროპას ესაჭიროებოდა სურსათი (პირველ რიგში პური) და მრეწველობისათვის აუცილებელი ნედლეული (ნავთობი, მარგანეცი და სხვ.). ომისაგან დანგრეული ეკონომიკის აღდგენა ევროპას შეეძლო ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით. ეს ევროპისათვის მიუღებელი იყო, რადგან დახმარების სანაცვლოდ ამერიკა ევროპას პოლიტიკურ მოთხოვნებს უყენებდა. ევროპელმა პოლიტიკოსებმა ომისაგან დანგრეული ეკონომიკის აღდგენა საბჭოთა რუსეთის დახმარებით გადაწყვიტეს, რადგან რუსეთი ევროპას ვერავითარ პოლიტიკურ მოთხოვნას ვერ წაუყენებდა. გარდა ამისა, რუსეთი ხელსაყრელი პარტნიორი იყო ბაზრის სიიაფის გამოც. მაგალითად, ევროპას რუსეთიდან შეტანილი პური ამერიკიდან შეტანილთან შედარებით გაცილებით იაფი უჯდებოდა. ევროპის ეკონომიკის აღორძინება წარმოუდგენელი იყო რუსეთის ნავთობის, მარგანეცის, საუკეთესო ხარისხის ფოლადის და სხვ. გარეშე. **ევროპა-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობის დაწყება იმას ნიშნავდა, რომ ევრო-ამერიკული სამყარო საბჭოთა რუსეთის (საბჭოთა კავშირის) საფრთხის წინააღმდეგ ვერ გაერთიანდა.** ამით ისარგებლა საბჭოთა იმპერიამ და თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ევროპასთან აქტიური სავაჭრო ბალანსით დიდი მოგება ნახა.

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევრო-ამერიკული სამყარო გაერთიანდა. ამ ერთიანობის შედეგი იყო საბჭოთა იმპერიის დასუსტება და მისი დაშლა (1991 წ.). ამ დიდი გამარჯვების შემდეგ **ევრო-ამერიკულმა სამყარომ დიდი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა.** საბჭოთა კავშირის თხუთმეტ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაშლამ შექმნა იმისი შთაბეჭდილება, რომ რუსეთი ევროპას საფრთხეს ველარ შეუქმნიდა. ეს იყო ნაჩქარევად გაკეთებული დასკვნა. **იმ ძალას, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაშალა, შეეძლო რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე დაშლა და რუსეთისაგან ციმბირის ჩამოცილება.** ვინც ეს არ დააკეთა დღეს თავს იმართლებს: რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე დაშლა და ციმბირის რუსეთისაგან ჩამოცილება ევროპასა და აზიაში რთულ, უმართავ პროცესებს გამოიწვევდაო. ეს სავსებით სწორია. დღევანდელი ვითარება ცხადს ხდის, რომ, საშიშროების მიუხედავად, სჯობდა რუსეთის დაშლა 1991 წლის ახლო ხანებში მომხდარიყო, თუნდაც ნაწილობრივ. ბუნებრივად ისმის კითხვა: **რა აზრი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დაშლას თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი გაბატონდებოდა და ევროპას საფრთხეს ის შეუქმნიდა?** აღიარებენ თუ არა თავის შეცდომას დიდი პოლიტიკის მამები, მნიშვნელობა არა აქვს. ჭეშმარიტება ერთია: **რუსეთი XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს უნდა დაშლილიყო.** ევრო-ამერიკული სამყარო დღეს დიდი სტრატეგიული შეცდომის შედეგებს იმკის: მონსტრმა ძალა მოიკრიბა და თავის სიძლიერეში დარწმუნებული სამხრეთ კავკასიის, ბალტიისპირეთის, უკრაინის, მოლდოვას გადასაყლაპავად ემზადება. **ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ევროპისათვის სივრცის დახურვა რუსული სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებად რჩება.**



**ვახტანგ გურული,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

სწავლა დაიწყება

## პრეზიდენტი პირველკლასელებს საჩუქრებს ჰპირდება



**საჯარო სკოლები ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის ემზადებიან.**

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გია ნოდია გუშინ გლდანის რაიონის ორ საჯარო სკოლას ეწვია, შეხვდა პედაგოგებს და ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა.**

**რუსული აგრესიის შედეგად შექმნილი ვითარების გამო, თბილისის მე-9 და 136-ე საჯარო სკოლებში დევნილები იმყოფებოდნენ. გორის რაიონში მათი დაბრუნების შემდეგ სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები გაგრძელდა. სწავლის პროცესი აღნიშნულ სკოლებში 15 სექტემბრიდან განახლდება.**

**მე-9; 61 და 136-ე სკოლების 80 პირველკლასელი ახალ სასწავლო წელს, საქართველოს სკოლების ყველა პირველკლასელთან ერთად, პრეზიდენტის ტრადიციულ საჩუქარს – ფორმებს, ჩანთებსა და წიგნებს მიიღებს.**

**ბოლო სამი წლის განმავლობაში სკოლები თანამედროვე სასკოლო მერხებით, დაფებით, კომპიუტერებით, სპორტული ინვენტარით, სასწავლო თვალსაჩინოებებით აღიჭურვა. განახლდა და მოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედნები.**

**მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში აშენდა მე-9 საჯარო სკოლის ერთი კორპუსი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა მეორე კორპუსს. 136-ე საჯარო სკოლას კი ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა.**

ინტერპრესნიუსი

SIC!

## კოკოითი ქართველ ტყვეებს უსაქმოდ არ აჩერებს



**სამხრეთ ოსეთში განვითარებული ბოლო მოვლენების გამო განათლების ეროვნულმა კავშირმა საგანგებო კონფერენცია გამართა. როგორც ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი ამაშუკელმა განაცხადა – ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში რუსმა ოკუპანტებმა იძულებითი შრომის საკონცენტრაციო ბანაკები შექმნეს, სადაც ტყვედ ჩავარდნილ საქართველოს მოქალაქეებს უმძიმეს პირობებში ამყოფებენ.**

გიორგი ამაშუკელი: „ტელეკომპანია როიტერის გავრცელებული ვიდეომასალა არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ კოკოითმა და მისმა მფარველმა ე.წ. რუსმა სამშვიდობოებმა ცხინვალსა და მის მოსაზღვრე სოფლებში იძულებითი შრომის საკონცენტრაციო ბანაკები შექმნეს. ეს არის უმძიმესი დანაშაულებრივი ქმედება, რაზეც მათ პასუხი უნდა აგონ. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, თუ რა მდგომარეობაში იქნებიან იქ მყოფი ჩვენი თანამემამულეები..."

ზემოაღნიშნულის თაობაზე განათლების ეროვნული კავშირი შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს ხუან სომავიას საგანგებო მიმართვას უგზავნის, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთში მყოფი ე. წ. რუსი სამშვიდობოები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ 1957 წელს მიღებულ №105 კონვენციას არღვევენ.

მიმართვაში ასევე ნათქვამია, რომ რუსი ოკუპანტების მიერ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №105 კონვენციის დარღვევის ფაქტის დადგენის შემდეგ რუსეთს უნდა დაეკისროს შესაბამისი სანქციები და გაირიცხოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციიდან.

ჯაბა ჟვანია

**თაობათა უწყვეტი ჯაჭვი**

*ოთხი წლის წინათ, უფალმა რომ დამასაჩუქრა, ანუ ამ ქვეყნად ჩემი პირველი (ჯერჯერობით ერთადერთი) შვილიშვილი მოავლინა, უზომო სიხარულმა, რა დაგიმალოთ და, ციცქნა ანანოსადმი მიძღვნილი ლექსების, ჩანახატების და, წარმოიდგინეთ, მოგონებების წერაც კი დამაწყებინა. ვიჯექი ძელსკამზე „ალექსანდრეს ბაღში", გვერდით საბავშვო ეტლი მედგა და ჩემს შთამომავალს ფიქრებში ვესაუბრებოდი, ვუყვებოდი ანანოს იმას, რაც მახსოვდა ჩემი ბავშვობიდან, ვუყვებოდი ჩემს მაღლაკზე, ანუ ჩვენს ძირსა და ფესვზე, ვუყვებოდი მაღლაკელებზე, მეზობლებზე, ბავშვობის მეგობრებზე, წინაპრებზე, მშობლებზე, ახლობლებზე... და ბევრ სხვა რამეზე.*

*ვფრთხილობდი მოგონებების გამოქვეყნებისას, წარმოიდგინეთ, მისი ოთხი ნაწილი თითო წლის ინტერვალით დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში" და, ბევრს, ალბათ, კარგად აღარც ახსოვს იქ მოყოლილი ამბები.*

*იმ დღეს ჩვენი მეგობარი, შესანიშნავი მწერალი და მამულიშვილი გური ოტობაია შემხვდა და სალამ-ქალამის შემდეგ „მიბიძგა", მიდი კაცო, განაგრძე, ძალიან კარგი იყო შენი მოგონებებიო...*

*ძალიან კარგისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მოსაგონარი კვლავაც არის, ვთქვათ, „თბილისის პერიოდი", ანუ ცხოვრება და საქმიანობა ქალაქში, რომელიც ჩემი სულის ნაწილი გახდა უკვე 48 წელიწადია...*

*მაშ ასე, მე და ანანო „ალექსანდრეს ბაღში", ნეკერჩხლის ჩეროში ვისვენებთ, ანანოს უმეტესად სძინავს, მე კი შვილიშვილს ჩემს თავგადასავალს ვუამბობ გუნებაში.*

# უფლის საჩუქარი

## უკანმოუხედავად ცხოვრებას ვერ გალევ...



ჩვენგან მოშორებით სამი გოგონა ჩამოჯდა ძელსკამზე, დედა, რა თვალმახარები, ხალისიანები არიან, ანანო... რაღაც წიგნები და რვეულები გაშალეს, კითხულობენ, ერთმანეთს აზრებს უზიარებენ... ვგრძნობ, ანანო, აბიტურიენტები იქნებიან, ახლა ხომ შუა ზაფხულია, მისაღები გამოცდების გაწამაწია... ნეტა მაგათ... რა სჯობს სტუდენტობის ხანას, რომელიც ჩემთვის, პირადად, მართლაც დაუვიწყარია, მომასწრებს ღმერთი შენს სტუდენტობას? ვინ იცის, ვნახოთ...

... თითქმის 45 წლის წინათ მეც ამ აბიტურიენტების დღეში ვიყავი... 1960 წლის გაზაფხული იდგა, ტყუილს ხომ არ გაკადრებ, ბაბუ, „კოჭლობით" დავამთავრე ჩემი მშობლიური მაღლაკის საშუალო სკოლის ათი კლასი... 17 წლისაც არ ვიყავი... „კოჭლობით" იმიტომ, რომ მათემატიკური საგნები ნამეტანი არ მიყვარდა (დღესაც გამრავლების ტაბულა არ ვიცი ხეირიანად), რასაც, ჰუმანიტარული საგნების „ფრიადებით" ვინაზღაურებდი და, წარმოიდგინე, სკოლაში ნიჭიერი ბიჭის სახელი მქონდა – ვაცოდვილებდი ლექსებს და რამდენჯერმე რაიონულ გაზეთ „ახალ წყალტუბოშიც" კი დამიბეჭდა შესანიშნავმა პიროვნებამ და გაზეთის რედაქტორმა დავით გაბრიაძემ, ვდეკლამატორობდი და ვმღეროდი რაიონულ ოლიმპიადებზე, მაგრამ ეს მათემატიკა... მოკლედ, დავამთავრე... მამას უკვე გადაეწყვიტა, მოდი თბილისში, უნივერსიტეტში, ფილოლოგიურზე ვცადოთო... დედას, ცხონებულს, მაინცდამაინც არ უნდოდა, ნუ დამიკარგავ ბიჭს იმ სიშორეზე, ფილოლოგიური აგერაცაა, ქუთაისის პედინსტიტუტშიო.. მაგრამ მამამ თქვა და თავისი გაიტანა.

მე, რა თქმა უნდა, თბილისი მინდა, თბილისს შორიდან ვეთაყვანები, სულ ორი წელია, რაც 1500 წლისთავი გადაუხადეს და, სიმღერები და ლექსები საქართველოს დედაქალაქზე, ჯერაც არ ჩამცხრალა რადიომიმღებებში. აქეთ, დები ჩაფიჩაძეებიო, იქით, ზურაბ ანჯაფარიძეო... ჯერ არც მინახავს მზის და ვარდების მხარე, ნეტავ, როდის ვნახავ!...

შენ მაღლაკიდან გამომგზავრების საღამო უნდა გენახა, ანანო... მეზობლობა, მამაჩემის ბიძაშვილები ოდა-სახლის წინ შეკრებილა, დედა ბუხართან ტრიალებს ჩემი და ლია ეხმარება (გაგანია ივლისია), ეთერი ბიცოლას თავისი გამომცხვარი ხაჭაპურები შემოაქვს, კაკო ბიძია ღვინით სავსე ბოცას დებს მაგიდაზე, შურა ბიცოლა მრგვალად მოხარშულ დედალს აწვდის დედაჩემს, ცუცა ბიცოლას ღორის შაშხის ნაჭერი შეუხვევია ქაღალდში, ლიდა ბიცოლას – ხასხასა მწვანილი, ჭიჭიკო ბიძია ფულს მიდებს ჯიბეში... სხვათა შორის, მერე, მოგვიანებით, სტუდენტი რომ გავხდი და, მაღლაკში ჩასული, თბილისისკენ მოვდიოდი ხოლმე, სულ ეს სცენა მეორდებოდა, ბაბუ... უფრო გულუხვი ხალხი მე არ შემხვედრია, ანანო... იქნებ ვაჭარბებ, ჩემიანები რომ იყვნენ და იმიტომ? არა, ბაბუ, იქ მაღლაკში, სადაც შენი ძირი და ფესვია, დღესაც გულგახსნილი, მშრომელი, სიკეთით სავსე ადამიანები ცხოვრობენ... თუმცა, იმათ, წასულებს, მგონი, მაინც ვერ შეედრებიან...

დრო გავიდა სიხალისეში, სადღეგრძელოებით დალოცვაში, დარიგებებში და კაკო „ნიშელაც" მოადგა „გაზ-21-"-ით ჭიშკარს. შუბლზე ხალი ჰქონდა კაკო ბიძიას და მთელი მაღლაკი „ნიშელას" ეძახდა...

აბა, გამომშვიდობება, დედაჩემის და ჩემის დის ცრემლები... გავქანდით ქუთაისისკენ, მატარებელი „თბილისი-ქუთაისი" უკვე ჩამომდგარა. მე და მამაჩემი ვაგონში ავდივართ.

ნეტა იცოდე, ანანო, როგორ არ მომეწონა უცებ დედაქალაქი, რომლის სილამაზესაც შენ მალე შეიგრძნობ, ბაბუ... ეს არის, კაცო, თბილისი, ამდენს რომ უმღერიან? რაღაცას ველოდი, უფრო დიდებულს, გასაკვირველს, რკინიგზის სადგურმა იმედი გამიცრუა, სამაგიეროდ, მერე, რუსთაველის გამზირმა გადამრია, ბაბუ...

ტაქსით მივადექით, ანანო, მთაწმინდის უბანში, ყიფიანის ქუჩაზე მამაჩემის ალალ ბიძაშვილს მიშა მარდალეიშვილს, მთელი ბავშვობა და ყმაწვილკაცობა მაღლაკსა და ქუთაისში ერთად რომ გაეტარებინათ და ერთმანეთის დიდი სიყვარული ჰქონდათ. მიშა ბიძია მთელ თბილისში ცნობილი სტომატოლოგი იყო, რომ იტყვიან, ქვეყანა პატივს სცემდა... დატრიალდა ლილი ბიცოლა, უცებ გაგვიწყო საუზმე, გააღვიძეს კოტიკო – ოჯახის ერთადერთი შვილი, მაღალ-მაღალი, ლამაზი ბიჭი, ქალაქური იერის, ჩემზე ერთი-ორი წლით უმცროსი... რამდენიმე დღის შემდეგ გაგვყვა მიშა ბიძია უნივერსიტეტში, შევიტანეთ საბუთები, კოტიკომ კი, სახლში რომ მივბრუნდით, ფეხბურთის ბილეთი დამახვედრა, თბილისის „დინამო" როსტოვის სკა-ს ხვდება, წავიდეთ „ლოკომოტივის" სტადიონზეო...

ახლა „კოტიკოს" ახლობლები ვეძახით, თორემ პროფესორი კონსტანტინე მარდალეიშვილი უკვე საქვეყნოდ ცნობილი დასტაქარია, გაუმართლა მშობლებს იმედი ერთადერთმა შვილმა – სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში დაიცვა, ჩამოვიდა მშობლიურ თბილისში, ონკოლოგიის ცენტრში ყბა-სახის ხელმადლიანი ქირურგი – ონკოლოგის სახელი დაიმსახურა, არ აკლია პრემიები (სახელმწიფო პრემიაც), მიწვევები უცხოეთის კლინიკებში, რაც მთავარია, არ აკლია ხალხის, უამრავი პაციენტის სიყვარული და პატივისცემა. იგი ჩვენი მცირერიცხოვანი გვარის საამაყო შვილია... რა დამავიწყებს, ანანო, იმ გულთბილობას, საერთოდ, მიშა ბიძიას ოჯახის ამაგს ჩემს მიმართ. ყიფიანზე ისიცა და ასია, ერთი ქუთაისელი, მეორე ძირძველი თბილისელი, რა სითბო იღვრებოდა მათგან, ისეთი ხალხი, სამწუხაროდ, აღარაა, ბაბუ...

ჩავაბარე უნივერსიტეტში, ჩემმა მომავალმა ლექტორებმა აპოლონ მახარაძემ და ქსენია სიხარულიძემ გამომცადეს ქართულში, ხუთიანი მივიღე, წერა-ზეპირში, მაგრამ, საერთოდ, ერთი ქულა დამაკლდა. ჩემდა ბედად, საღამოს დასწრებული გაიხსნა იმ წელიწადს, ჩაერია საქმეში დედაჩემის მამიდაშვილი, განათლების მინისტრის მოადგილე, ცხონებული მიხეილ ქოჩაკიძე და საღამოს დასწრებულის სტუდბილეთი ჩავიდე ჯიბეში...

უკვე გავიცანი უნივერსიტეტის ბაღი და ლეგენდარული შოთა ჩანტლაძე, ბაბუ... მე არ ვიცი, როგორ შევაყვარე ამ უნიჭიერეს, ირონიითა და ხშირად ცინიზმით სავსე კაცს თავი, ფაქტია, რომ, სანამ შოთა მოულოდნელად წავიდოდა ამ ქვეყნიდან, სულ ერთად ვიყავით. მის გემოვნებას ვენდობოდი, შეიძლება ითქვას, რომ მან ჩამახედა გალაკტიონის ზღვა სამყაროში, ბევრს მიამბობდა „პოეზიის მეფეზე", რომელსაც მე, სამწუხაროდ ცოცხალს ვერ ჩავუსწარი თბილისში, ანანო... დღემდე სინანული მიპყრობს, რომ ცოცხალი გალაკტიონი და ცოცხალი გიორგი შავგულიძე – ლეგენდარული მსახიობი – არ მინახავს...

ნი ვიწროდ ცხოვრობდნენ და მალე ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე გადავიდნენ, სხვათა შორის, მათი მეზობლები იყვნენ ქართული ფეხბურთის „ვარსკვლავები" მიხეილ მესხი და შოთა იამანიძე, რომლებთანაც, მოგვიანებით, ჟურნალისტი რომ გავხდი, ინტერვიუსთვის სწორედ კოტემ მიმიყვანა... ერთი კვირა რომ დამეგვიანა მისვლა, მსაყვედურობდა მთელი ოჯახი, მუდამ პაციენტებთან მოფუსფუსე მიშა ბიძიას ჩემთან საბაასოდ სად ეცალა, შემიყვანდა ლილი ბიცოლა სამზარეულოში „სტუდქალაქელ ბიჭს", ყველაზე ღრმა თეფშს აარჩევდა, დამისხამდა სურნელოვან ხარჩოს, მიდი, მიდი ნუ გერიდებაო, იქვე კატლეტებსაც დამიწყობდა... ანდა, როგორი მოხუცები იყვნენ კოტეს ბებიები – ცა-

მიშა ბიძიამ რომ გაიგო, საღამოს დასწრებულზე ჩავირიცხე, მთელი დღე უნივერსიტეტის ბაღში ყოფნა არ გარგებს, ბიძიკო, საჯარო ბიბლიოთეკაში მეგობარი მყავს, იქნებ მოგაწყოს, წიგნებთან გექნება საქმეო... მიმიყვანა „საჯაროში", გამაცნო, მგონი ასე ერქვა, ბიბლიოთეკის პასუხისმგებელი მდივანი, ბატონი ალიოშა კოკაია, ერთი შეხედვით გოროზი, მაგრამ, საოცრად კეთილშობილი და დახვეწილი კოლხი, რომელიც, მოგვიანებით, ჩვენი ავტორი იყო გაზეთ „კომუნისტის" ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში.

ბატონი ალიოშას რეკომენდაციით და დირექტორის, პოეტ სანდრო-ეული ქურიძის დასტურით მიმიღეს „საჯაროში" დამხმარე მუშად, მომცეს წინსაფარი და მთელი დღე საბარგო ლიფტიდან დაკომპლექტების განყოფილებაში (ულამაზესი ქალებით „დაკომპლექტებულ" განყოფილებაში) თბილისიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან გადმოგზავნილ წიგნებს ვეზიდებოდი. ამის მოწმეა დღეს უკვე ხანში შესული, თავის დროზე საოცრად მიმზიდველი ლეილა ზამბახიძე...

თუ რაიმე აკრძალული ლიტერატურა იყო, ბაბუ, სულ იმ ერთ წელიწადში წავიკითხე, მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი", სხვებიც, რომელი ერთი ჩამოვთვალო... ამისთვის დღესაც დიდი მადლობელი ვარ ჩვენი ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარის, ცხონებულ თამარ მაჭავარიანისა...

შესანიშნავი წლები იყო, ბაბუ... ცხრა საათიდან ხუთ საათამდე „საჯაროში", ხუთ საათიდან შვიდ საათამდე ბაღში – „ჩანტლაძის უნივერსიტეტში", შვიდიდან თერთმეტის ნახევრამდე ლექციებზე... ერთი წლის შემდეგ, საზამთრო და საგაზაფხულო სესიების კარგად ჩაბარების გამო, დღის განყოფილებაზე გადამიყვანეს და „საჯაროდანაც", ცხადია, ავიკარი გუდა-ნაბადი...

ანანიკო, ახლა ჩვენც ავიკრათ ბაღიდან გუდა-ნაბადი, თორემ სახლში გვისაყვედურებენ, შენი ჭამის დრო მოსულა...

**ვილენ მარდალეიშვილი**


# განცხადება

## სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – – საქართველოს" მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს" დირექტორატი იწვევს სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს" აქციონერებს სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს" მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 02 ოქტომბერს 14 საათზე ბანკის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი ლეონიძის (ყოფ. კიროვის) ქ. №1.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს" დირექტორატის წლიური ანგარიში;
2. სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს" გარე აუდიტის შედეგების შესახებ;
3. სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს" დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალის შესავსებად ღსს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკისა" და ღსს „აზერბაიჯანის ინდუსტრიული ბანკის" მიერ გამოყოფილი თანხის კონვერტაციისას კურსთა სხვაობით დარჩენილი თანხის განაწილების შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს" დირექტორატში.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ის აქციონერები, რომლებიც 2008 წლის 29 აგვისტოს 17:30 საათის მდგომარეობით რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი „თბილისის რეესტრი". მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა.წ. 22 სექტემბრის 9:30 საათიდან 01 ოქტომბრის 17:30 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გრიგოლ აბაშიძის ქუჩა №2, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი „თბილისის რეესტრი".

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კონგრესი საქართველოსთან დაკავშირებით ადმინისტრაციის პოზიციას უტევს



**ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოზიცია რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტთან დაკავშირებით მძლავრი კრიტიკის ქვეშ მოექცა შეერთებული შტატების კონგრესის მხრიდან, რომელიც შეშფოთებულია ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის დაძაბვით.**

ამ კვირაში გამართულ მოსმენებზე სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი წარმომადგენლები პასუხებს ვერ აუდიოდნენ ისეთ თემებზე, რომლებიც შეეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დაპირებას საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, თბილისის უუნარობასთან დაკავშირებით და ვაშინგტონის გადაწყვეტილებით, გამოყოს ერთი მილიარდი დოლარი ქვეყნის რეკონსტრუქციისათვის, იმ ქვეყნისა, რომელმაც არ გაითვალისწინა შეერთებული შტატების რეკომენდაციები.

ჰილარი კლინტონმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა განაცხადა, რომ რუსეთის იზოლაცია კონფლიქტის გამო „არაკეთილგონივრულია" და გამოთქვა ეჭვი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გაიწვიოს ხელშეკრულება რუსეთთან ბირთვული თანამშრომლობის შესახებ.

როდესაც ამ საკითხებს შეეხო, რამაც შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს ვაშინგტონი და თბილისი, მან მოითხოვა შეიქმნას კომისია კონფლიქტის წყაროების შესწავლის მიზნით, რითაც, ფაქტობრივად, გაიმეორა გერმანიის ანალოგიური მოწოდება. ეს საკითხი განსაკუთრებით დელიკატურია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს — მისი ძალები დაიძრნენ სამხრეთ ოსეთისკენ იქ რუსი სამხედროების დისლოკაციის პასუხად.

რუსეთი ამტკიცებს, რომ კონფლიქტის პროვოცირება მოხდა საქართველოს მხრიდან. სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა დენ ფლიდმა განაცხადა, რომ „ქართველებს ეგონათ იმ დროს — ყოველ შემთხვევაში მაშინ ისინი ასე ლაპარაკობდნენ — რომ რუსეთის ძალები მოდიან როკის გვირაბიდან და რომ ისინი იმყოფებიან გარდაუვალი საშიშროებით საქართველოსათვის". მან დაუმატა: „არ შემიძლია ვთქვა, ეს ასე იყო თუ არა".

კონგრესმენი ედ როისი, რესპუბლიკელი, აღნიშნავს: ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ნატო იქნებოდა შემაფერხებელი ფაქტორი. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ისიც, რომ საქართველოს პოტენციური წევრობა ნატოში ცეცხლს წაუკიდებდა სიტუაციას.

ჯონ უორნერმა, ვეტერანმა სენატორმა რესპუბლიკური პარტიიდან აღნიშნა, რომ, საბედნიეროდ, საქართველო ჯერ კიდევ არ არის ნატოს წევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტში ჩათრეული იქნებოდა შეერთებული შტატებიც — თუმცა ამერიკელი ჩინოვნიკები თხოვდნენ სააკაშვილს თავშეკავებას.

დენიელ დომბი

FINANCIAL TIMES

# რა ღირს პუტინი

**ჯეიმს კარვილმა, რომელიც 1992 წელს სათავეში ჩაუდგა მომავალი პრეზიდენტის ბილ კლინტონის საარჩევნო შტაბს, ჩამოაყალიბა ეს აზრი მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით: „თუ სულების გადასახლებას მართლაც აქვს ადგილი, — თქვა მან, — მე მინდა გადავიქცე ობლიგაციების ბაზრად, შემეძლება ყველა შევაშინო".**

ეტყობა, რუსეთის ლიდერი ვლადიმერ პუტინი — პრემიერ-მინისტრი, რომელიც დღემდე, როგორც ჩანს, დგას საჭესთან მოსკოვში — ყურადღებით უნდა მოეპყრას ასეთ მომენტებს. რამდენიმე კვირის განმავლობაში სიტუაცია რუსეთის ბაზარზე კარდინალურად შეიცვალა, ასე რომ, ეჭვი ეკონომიკის მდგომარეობასთან დაკავშირებით აისახა ბიზნესმენების შიშზე და მოულოდნელ ცვლილებებზე პოლიტიკური ბაზრების შეფასებაში. უცხოური კაპიტალის გადინებამ, კრედიტების დეფიციტმა რუსულ ბაზარზე და ნდობის დაცემამ რუსი და უცხოელი აქციონერებისა მკვეთრად შეცვალეს ვითარება მოსკოვში: მეტისმეტი თავდაჯერებულობა შეიცვალა წუწუნით.



ეს პროცესი რუსეთსა და საქართველოს შორის სისხლისმღვრელ ომთან ერთად კი არ დაწყებულა, თუმცა საბრძოლო მოქმედებებმა ძლიერ შეაშფოთა საერთაშორისო ინვესტორები. ყველაზე ძლიერი რყევა გამოიწვია თავად პუტინის გაუფრთხილებელმა გამოთქმებმა, როდესაც მან საჯაროდ შეაშინა რუსეთის ერთ-ერთი მილიარდერი ბიზნესმენი, ქვანახშირის მომპოვებელი კომპანიის „მეჩელის" მფლობელი, რომელიც ნიუიორკის საფონდო ბირჟაზე კარგი კოტირებით სარგებლობს, ფასების მოსალოდნელი გადიდებით. პუტინის განცხადებამ ივლისის ბოლოს გაალარიბა რუსეთის საფონდო ბაზარი თითქმის 60 მილიარდი დოლარით. იგი აღიქვეს, როგორც ბოროტი გახსენება იმისა, რომ რუსეთში ყველაფერს წყვეტს ძალა და არა კანონი.

აქამდე ბევრი რუსეთის ბაზარს მიიჩნევდა, როგორც ნავთობსა და გაზზე წაუგებელ ფსონს, როგორც მოედანს, რომელიც კარგად არის დაცული საერთაშორისო საკრედიტო კრიზისისაგან. ისინი სერიოზულად არ მიიჩნევდნენ გაფრთხილებებს პოლიტიკური რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კრემლში ხელისუფლების გადაცემის პროცედურასთან. რუსეთის საშუალო კლასს, რომელიც თანდათან მდიდრდებოდა, სჯეროდა პუტინის ვერსიისა რუსეთის აღორძინების შესახებ და რომელიც შეეხამებოდა პოლიტიკურ სტაბილურობასა და აყვავებას.

სინამდვილეში ეკონომიკა აღსდგა მხოლოდ ერთადერთ საფუძველზე დაყრდნობით — ენერგოშემცველებზე. რუსეთის ბანკები და კაპიტალის ბაზრები მოუქნელები და არაეფექტიანებია. საშინაო ბაზარმა ვერ შეძლო დაეკავებინა გათავისუფლებული ნიში, როდესაც უცხოური კრედიტების წყაროები დაშრა. ეს მძაფრდება მთავრობის მოქმედებით, რომლის ეკონომიკური კომპეტენცია საკმაოდ შეზღუდულია.

ეკონომიკაზე დღეს მთავარ პასუხისმგებლობას კისრულობს პუტინი, ვინაიდან სწორედ მას უკავია პრემიერ-მინისტრის პოსტი. მან აშკარად აურია ერთმანეთში ბაზრები, როდესაც ლაპარაკობდა ბიზნესმენებზე, როგორც ჩეჩენ ტერორისტებზე; მან შოკში ჩააგდო უბრალო რუსებიც, როდესაც განაცხადა, რომ მათი მთავარი განგაში ინფლაციის ზრდაა და ეს აბსოლუტურად არ არის მისი საქმე. მან ინფლაციაში ცენტრობანკი დაადანაშაულა. 8 წლის ზრდის შემდეგ, რაც ემყარებოდა ენერგოშემცველებს, პუტინი, მაინცდამაინც, არ არის მზად ნებისმიერ დაცემასთან გამკლავებისათვის.

სიტუაციას აუარესებს რუსეთის მიერ თავისი სამხედრო სიძლიერის დემონსტრაციაც საქართველოში, მაშინაც კი, როდესაც რუსების უმრავლესობას ეს ნაბიჯი გამართლებულად მიაჩნია. დავა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დასავლეთის სამყაროსთან სულაც არ აიოლებს კაპიტალის გლობალურ ბაზარზე გასვლას. დასავლელი ინვესტორები რუსეთიდან არ წავლენ, მაგრამ ისინი მოითხოვენ დანამატებს რისკისათვის. შეიძლება, რუსეთს მოუწიოს ამისათვის ბევრად მეტის გადახდა, ვიდრე მას ეს დაუჯდა კავკასიის პატარა ქვეყანაში შეჭრით.

FINANCIAL TIMES

## ნინო ბურჯანაძე:

# „სააკაშვილს მოუწევს პასუხის გაცემა"

**საქართველოში რუსეთთან ომის შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილს ზურგი შეაქცია პოლიტიკური ელიტის ნაწილმა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ბურჯანაძე, რომელსაც დასავლეთში მიიჩნევენ, როგორც სააკაშვილის მემკვიდრეს, მოითხოვს რუსეთთან ომის დაწყების მიზეზების შიდა ქართულ გამოძიებას.**

„თუ ქვეყანამ გადაიტანა ასეთი ტრაგედია, ხალხს აქვს უფლება, იცოდეს სიმართლე", — თქვა ნინო ბურჯანაძემ გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში. ომის შედეგად პრეზიდენტი აღმოჩნდა „ძალიან რთულ მდგომარეობაში". ამავე დროს ბურჯანაძემ განაცხადა, რომ აპირებს შექმნას საკუთარი პარტია.

ამრიგად, ბურჯანაძე ხდება სააკაშვილის შესაძლო ალტერნატივა. 2001 წლიდან 2008 წლის მაისამდე ის ხელმძღვანელობდა პარლამენტს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო პრეზიდენტის თანამოღვაწე. მაგრამ, როდესაც შარშან პრეზიდენტმა საპროტესტო მიტინგი, ძალისმიერი მეთოდებით დაშალა. ბურჯანაძე მას თანდათან დაშორდა. დასავლეთში ბურჯანაძეს განიხილავენ, როგორც სააკაშვილის შესაძლო მემკვიდრეს. ბერლინში ის ჩავიდა ორშაბათს, რათა ომის შედეგად საქართველოს ფაქტობრივი დაყოფის შემდეგ აგიტაცია გაუწიოს გერმანიის მთავრობას მისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით. აგვისტოს ბოლოს იგი მოლაპარაკებაზე იმყოფებოდა ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტში.

ქართულ ოპოზიციაში სააკაშვილის მოქმედებათა კრიტიკა სულ უფრო ხმამაღლა გაისმის. პრეზიდენტს ბრალს სდებენ მეტად მწვავე რეაქციაში, რაც გამოიხატა ბრძანების გაცემაში, იერიში მიეტანათ სამხრეთ ოსეთზე. ქვეყანას ემუქრება განწყობილების შეცვლა, ამბობს დავით აფრასიძე პოლიტოლოგიის პროფესორი თბილისის უნივერსიტეტიდან. „მთავარი საკითხია — რატომ შევიდა ქართული არმია სამხრეთ ოსეთში. არავის შეეძლო სერიოზულად ეფიქრა, რომ რუსეთი ამაზე რეაგირებას არ მოახდენდა", — მიაჩნია მას.

სააკაშვილი მუდმივად იმართლებს თავს იმით, რომ სამხრეთ ოსეთში შევიდა რუსეთის 150 ტანკი, თუმცა ამის დამადასტურებელი მას ჯერ არაფერი წარმოუდგენია. ბურჯანაძე კონფლიქტის პრინციპულ შეფასებაში ბევრ რამეში ეთანხმება სააკაშვილს.

მიუხედავად ამისა, თავდასხმის ზოგიერთი დეტალი გამოურკვეველია. „მინდა ვიცოდე, რა მოხდა ომის დაწყების დროს, — ამბობს ბურჯანაძე, — მე ხომ არ ვიცი — იყო ეს მხოლოდ პასუხი თუ არა რუსეთის პროვოკაციაზე". გარდა საერთაშორისო კომისიისა, მიაჩნია მას, საქართველოს მთავრობამ უნდა შექმნას საშინაო-საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც გამოარკვევს, თუ რა გახდა მიზეზი სამხედრო მოქმედებათა დაწყებისა და რატომ დამარცხდა ასე სწრაფად საქართველოს არმია რუსეთის ჯარესკაცებთან ბრძოლაში. თუ მთავრობის პასუხები გამოკვლევების შეკითხვებზე იქნება „მიუღებელი, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ", — მიაჩნია პოლიტიკოსს. ომის შედეგად საქართველოს გაუჩნდა უკიდურესად სერიოზული პრობლემები. თავისი წვლილი ამ პრობლემების გადაჭრაში ბურჯანაძეს სურს შეიტანოს თავისი ახალი პარტიის დახმარებით.

ბურჯანაძე მიმართავს ევროკავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რათა მათ დაიცვან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამისათვის დასავლეთი, „თანაც ერთსულოვნად", უნდა გამოვიდეს მოსკოვის წინააღმდეგ. რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო სამართალი, როდესაც აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად პროვინციები, ამტკიცებს იგი. იმ 300 ათას ლტოლვილს, რომლებმაც დატოვეს ეს ტერიტორიები, არ გააჩნიათ „არავითარი სხვა სახლები, აგრეთვე უფლება იქ დაბრუნებისა".

იგი ბრალს სდებს რუსეთს იმაში, რომ მის მიერ სადავო ბუფერული ზონების შექმნით და საქართველოს საკუთარი მიწებიდან ჯარების გაყვანის გაჭიანურებით მოსკოვს მიზანდასახულად სურს ყურადღების გადატანა სხვა საკითხებზე.

ყოველივე ამის მიუხედავად, ბურჯანაძე კრემლთან დიალოგის მომხრეა. „ჩვენ მეზობლები ვართ და არ შეგვიძლია 50 წელი ველოდოთ ახალ დაახლოებას". რუსეთის საერთაშორისო იზოლაცია საზარალოა. „მისი ეფექტი იქნება გაცილებით უარესი, ვიდრე თვით ცივი ომი".

ნილს კრაიმაიერი,
ევა ვაიკერტი

FINANCIAL TIMES

# საქართველოს ფრთხილი დამცველები

**დაახლოებით 300 წლის წინათ ყველაფერი, რაც ჰქონდა საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსეს — ეს იყო სპარსეთის იმპერიის ულელქვეშ მყოფი ციცქნა სამთავროები აღმოსავლეთ საქართველოში. მეფე ოცნებობდა გათავისუფლებულიყო სპარსეთისაგან, ამიტომ დაიწყო ძლიერი სახელმწიფოს ძებნა, რომელიც მას დაიცავდა.**

მოხდა ისე, რომ იმ დროს რუსეთი, რომელსაც მართავდა პეტრე პირველი, აფართოებდა თავის სამფლობელოებსა და გავლენას სპარსეთის ხარჯზე, რომელიც უკვე აღარ იყო ისეთივე ძლიერი სახელმწიფო, როგორც ადრე. პეტრე ეძებდა ქრისტიანულ სამთავროებს, რომლებიც სპარსეთის ხელისუფლების ქვეშ იყვნენ, უბიძგებდა მათ გაერთიანებისათვის ახალ ზესახელმწიფოსთან. ვახტანგს მოეწონა პეტრეს წინადადებები, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ მან უნდა მიიღოს სამეფო ტახტი და ქრისტიანი ხალხის მართვის უფლება.

ვახტანგის ვეზირები აფრთხილებდნენ მას, არ გადაედგა მეტად აჩქარებული ნაბიჯები. პეტრეს შეეძლო არც წამოსულიყო საქართველოს დასახმარებლად. „როგორ შეუძლია ქრისტიან იმპერატორს უღალატოს ქრისტიან მეფეს?" — მსჯელობდა ვახტანგი. ვეზირებმა ურჩიეს მას, შეხვედროდა რუსეთის ელჩებს საიდუმლოდ. ვახტანგმა მათ უპასუხა: „როგორ შემიძლია დავმალო ჩვენი უძველესი ქრისტიანული დროშა?".

ვახტანგი არა მხოლოდ შეხვდა, არამედ თანამშრომლობდა კიდეც პეტრეს ელჩებთან; ის თავს დაესხა საზღვრისპირა პროვინციას თავისი 40-ათასიანი ქართული ჯარით, შემდეგ კი დაიწყო ლოდინი, თუ როდის მოვიდოდა პეტრე მის დასახმარებლად. მაგრამ პეტრე მაინც არ გამოჩენილა. სპარსელებმა მიაყენეს საპასუხო დარტყმა და დაიპყრეს ვახტანგის სამეფო.

თუ სიტყვა „ქრისტიანულს" შევცვლით სიტყვით „დემოკრატია", მივიღებთ ბუშის დღევანდელი ადმინისტრაციის იდენტურ სიტუაციას.

როგორ შეეძლო საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ეფიქრა, რომ შეერთებული შტატები არ დაეხმარებოდა მის ქვეყანას, თუკი იგი მოახდენდა თავდასხმას? ბოლოს და ბოლოს, განა ბუში არ არის დიდი დამცველი დემოკრატიისა? განა ბუშის ადმინისტრაცია არ იყენებს დემოკრატიის წინსვლის ლოზუნგს თავისი ხელისუფლების გასაფართოებლად და გავლენის გასაძლიერებლად, როგორც ამას იყენებდა პეტრე?

რასაკვირველია, სააკაშვილის შეცდომა ხელსაყრელი აღმოჩნდა რუსეთისათვის, ისევე როგორც ვახტანგის შეცდომები იყო სასარგებლო სპარსეთისათვის.

უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში რუსეთმა განამტკიცა თავისი ხელისუფლება და გავლენა. ამერიკის პოზიცია კი ბუშის ადმინისტრაციის დროს დასუსტდა. ადმინისტრაციის განცხადება იმის შესახებ, რომ სხვა ქვეყნებში შეჭრა და საზღვრების გადასინჯვა 21-ე საუკუნეში დაუშვებელია, სიცილს იწვევს, თუ გავიხსენებთ თუნდაც ერაყსა და კოსოვოს.

The Boston Globe

პოეზია

11 სექტემბერი იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეა

# ავი სიზმარი „გალილეა“



გარეთ ღამეა უამური,
წკმუტუნებს ძაღლი...
თვალებს გაქცეულს იქით-აქეთ
ჩააშრობს სევდა.
...და ეჩვენება გალილეა
საფეთქლებს დაღლილს
და აღგზნებული ტვინი სიზმარს
ხატავს და ხედავს:
– მდევენ ქენჯნანი სინდისისა
სადღეისონი,
ცოდვილთ ტაბლასთან ვზი ინახით,
ბედით, ორპირით,
და როგორც ცხადში
ისე ღუის ირგვლივ ბისონი,
ისე იღვრება
მეწამული ფერით პორფირი!
ვჭრეტ ხილს და ხორაგს
აქნილ საკლავს,
თრობას არეულს,
ვარ მიყრდნობილი
ოქრომკედით ნაქსოვ ბალიშებს...
– ვინ მაპატიებს მე ამ სიზმარს,
ამ შხამგარეულს,
ამ მარად ცოდვას
მე ვინ ამხსნის, მე ვინ გამიშვებს?!
მადგას ჩვენება ბორგნეული
მამტვრევს, მამცივნებს
და მრუშ ღრეობას, ანტიპისას,
ვუვსებ სასმურებს.
როკაპ დედოფალს, ვით მოყვება,
თვალს ვერ ვაცილებ
ნარდით ნაბანი ასი მონა-მოსამსახურე!..
– აქაც რომია!
მსტოვრის ტორით, ტიბერიუსის,
და გარყვნილება
და დარბაზსაც ავსებს პირამდე!
აქაც იბრუნებს დიდი ცოდვა
ქალურ სიმრუშით,
მანამდე, სანამ
დაიბანდეს ხელებს პილატე!
ართობს რომაელთ
და ღვინოში უყრის მარგალიტს,
– იგი იროდი,
იუდეველთ სისხლის მწოველი!
ხოლო ხაროში,
იორდანეს წყალში განბანილ,
ხმა მეორდება,
ნათლისმცემლის – ნათლისმთოველის!
აქ კი ყოველი
საზეიმოდ არის დიადი –
სამოსს ალმასი,
სუფრას ოქრო ღვინოში ფერავს...
თვალები მრუდი
აარიდა იროდიადას
და სალომეას ღია მკერდი
მოხვრიპა მზერამ!
ნათესავს მისას
სიძვით ელტვის კუთვნილი მამად,
გული მრუშია,
გონი მთვრალი, სურვილი მამრის!
ფარშავანგებად მორონინე მარაოს გამმას
მიაქვს და მოაქვს ნელსაცხებლით
სურნელი ამბრის...
არ მოეწონა ცენტურიონს
გემო ზედაშის –
გადააფურთხა,
მიამსხვრია კედელზე თასი!
...და ვითარ ჰქონდათ ნაბრძანები
შეთქმულ დედა-შვილს:
იხმეს სუფრასთან საკრავებით
მუსიკოსთ დასი!
როკავს სატანა –
სალომეა თეძოებს არხევს,
ცეკვავს სატანა –
მკვრივი მკერდი ვნებით მიმოდის,
და ღვარძლიანად ეღრიცება
დედოფალს სახე,
და ტუჩს ილოკავს
ამღვრეული ღვინით იროდი!..
შეწყდა მუსიკა,
ავი რინდი მოედო ყოველს
წამოდგა მეფე,
ზე აღმართა მსახვრალი მკლავი,
და ბრძანა: –
– ცეკვის საფასურად რაც გინდა მთხოვე!
იყო პასუხი: –
იოანეს მოჭრილი თავი!
– მოდგმავ ადამის!
გაჩენიდან შენს თავს ტიროდი.
სძლიე სატანას?
შეაჩვენე სული წყეული?
– თუ კვლავ ზეიმობს
იუდეველთ მეფე იროდი,
ოდეს თავდება სისხლიანი ათასწლეული?!

**რეზო ამაშუკელი.**
1991 წ. 27 სექტემბერი

ჯანმრთელობა

# ქართული ხალხური მედიცინის კიდევ ერთი თვალსაჩინო მიღწევა




**XXI საუკუნის სახადმა „გლობალურმა დათბობამ“, სხვა უამრავ პრობლემას შორის, კაცობრიობას მძიმე განსაცდელი მოუვლინა მრავალი მოურჩენელი დაავადების სახით.**

სახალხო მკურნალის **ბიჭიკო გაგნიძის** მიერ შერჩეულ მცენარეებზე (დიდგულა, შვიტას ბალახი, ლურჯი ღიღილო, გვირილა, ჟოლო, მარწყვის ფოთლები და სხვა) შექმნილი საინექციო პრეპარატები **„დომენტოლი“** და **„გაგელონი“** დადებით შედეგს იძლევა კოლიტზე, პროსტატიტზე, ბუასილზე, რადიკულიტზე, ნევროზზე, პარკინსონის დაავადებაზე, ასთმასა და ჩიყვზე. წამლობს გულისა და თირკმელების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში. დადებითი შედეგი აქვს გაფანტული სკლეროზი, ცერებრალური დამბლის, ოსტეოქონდროზის, გაიმორიტის, ოსტეოქონდროზის, გაიმორიტის, სეფსისის, ბოტულოზმის, ტუბერკულოზის, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ქალური დაავადებების, ანთებითი პროცესების, ქლამიდიას, კლიმაქსის, ფსორიაზის მკურნალობისას, შედეგიანია თავბრუსხევისას, ეპილეფსიაზე, სახსრების დაავადებებზე, ამყარებს ხანდაზმულთა იმუნიტეტს, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებაზე.

ეს პრეპარატები გამოიკვლიეს ივ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკურ ჰოსპიტალში, სადაც მისი მოქმედება შეისწავლეს 29 პაციენტზე. სამეცნიერო კვლევაში, რომელიც მიმდინარეობდა ღვიძლის ციროზის, ქრონიკული ჰეპატიტის, ქრონიკული ენტეროკოლიტის, გაფანტული სკლეროზის და ნეიტროცირკულარული დისტონიის მიმართულებით, მონაწილეობდნენ ჰოსპიტალის მთავარი ექიმი, პროფესორი გ. მაცაბერიძე და ს. ხეჩინაშვილის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკის ნევროლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მ. ბერიძე.

მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ პაციენტებს გაუუმჯობესდათ გუნება-განწყობილება, აღნიშნავდნენ ენერგიის მოზღვავებას, ასევე გაუუმჯობესდებათ ლაბორატორიული მონაცემები. კერძოდ, ქრონიკული დიფუზურ-დისტროფიული პროცესების დროს შეიმჩნეოდა ფუნქციური სინჯების მაჩვენებლების პოზიტიური დინამიკა, შემცირდა ტკივილის სინდრომი, სიმძიმის შეგრძნება. ამავე დროს, კლინიკური გაუმჯობესება აღინიშნა წყლულოვანი დაავადებებისა და კოლიტების დროს, შემცირდა დისპერსიული მოვლენები, დისკომფორტის შეგრძნება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სისხლის სურათი. ასევე დაფიქსირებულია დადებითი ცვლილებები, MRT სურათზე, გაფანტულ სკლეროზზე დაკვირვებაში. საკმაოდ მრავალმხრივ გამოკვლევებში გვერდითი მოვლენები არ აღნიშნულა.

სამედიცინო დარგის სპეციალისტების დასკვნით, საინექციო პრეპარატებს ახასიათებთ ზოგადგამაჯანსაღებელი, საერთო მასტიმულირებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი და მათი გამოყენება სხვადასხვა ფსიქოსომატური დაავადებების დროს, უმეტეს შემთხვევაში, განაპირობებს დადებით დინამიკას დაავადებების მიმდინარეობაში.

დღევანდელი მედიცინა შეშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მთელ დედამიწაზე გარემოს დაბინძურება და გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენება, მოსახლეობაში განსაკუთრებით ზრდის სიმსივნური, სისხლძარღვოვანი და სხვა სახის მძიმე დაავადებათა რისკს. ისიც ფაქტია, რომ ეს რისკი საკმაოდ მაღალია ქალებში 15 წლის ასაკიდან, თუმცა მძიმე დაავადებებისგან არც მამაკაცები არიან დაზღვეული. ამიტომ, სავალდებულო არ არის, რომ ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატებით ვიმკურნალოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომელიმე დაავადების პოლიგონად ვიქცევით, რადგან სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, როცა ადამიანში რაიმე მძიმე დაავადება იჩენს თავს, იგი იმდენად არის ხოლმე გამჯდარი სხეულში, რომ მის გამოდევნას ან ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება, ან საერთოდ შეუძლებელია და ფატალური შედეგიც გარდაუვალია.

როგორც ბატონი ბიჭიკო გაგნიძე ბრძანებს, თუ ნებისმიერი პიროვნება წელიწადში ერთხელ მაინც ინექციის სახით მიიღებს ორ ფლაკონ პრეპარატს, მისი სხეული სენმედეგი გახდება.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ნებისმიერ კლინიკაში მკურნალობა ძვირ სიამოვნებად ითვლება, ხოლო ბიჭიკო გაგნიძის მიერ შემოთავაზებული პრეპარატი საკმაოდ იაფი ღირს, ეს წამალი იმ პანაცეად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ჯანმრთელობასაც შეგინარჩუნებთ და ოჯახის ბიუჯეტსაც დაგიზოგავთ.

**ბიჭიკო გაგნიძის კოორდინატებია:** თელავი, კავკასიონის ქუჩა №61-ბ, ტელ: 893-22-66-51, 8(25) 7-61-24; თბილისი, წინამძღვრიშვილის 120 (ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს, 10-დან 14 საათამდე).

**როლანდ ჯალაღანია,**
**საპატიო დოქტორი**

SIC!

# რუსეთმა თვითონ გაყო თავი შარში

***მიუხედავად** იმისა, რომ რუსეთს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ თავისსავე ტერიტორიაზე გაუჩნდა სეპარატიზმის ახალი კერები, კრემლი მაინც საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თვითგამოცხადებული რესპუბლიკების წაქეზება-წახალისებითაა დაკავებული.*

*„ევრონიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთს სეპარატიზმის პრობლემა (ანალიტიკოსთა აზრით იგულისხმება ჩეჩნეთი) აღარ აწუხებს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ურყევია. რუსეთის პოლიტიკური ელიტა გაღიზიანებას ვერ ფარავს საქართველოსა და მისი ხელისუფლების მიმართ და ქვეყანას ბანკროტს უწოდებს, მის პრეზიდენტს კი პოლიტიკურ გვამს.*

## საქართველოს დაშლაზე სპეცსამსახურები მუშაობენ

რუსი პოლიტოლოგები, ანალიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მსოფლიო თანამეგობრობის მიერ არაღიარებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ პლიევი, სწორედ რომ რუსული სახელისუფლებო წრეების მოსაზრებებსა და მისწრაფებებს ახმოვანებს. რუსეთის ელიტას სურს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს აღგვა პირისაგან მიწისა, მისი პატარ-პატარა „სამთავროებად“ დაშლა, რაზეც სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობენ.

პლიევი ერთ-ერთ ინტერვიუში ახმოვანებს რა თავის „პატრონთა“ მოსაზრებას, აცხადებს, რომ საქართველოდან გამოყოფას სულ მალე მოითხოვენ აჭარა, სამეგრელო, ჯავახეთი, სვანეთი და აზერბაიჯანელებითა დასახლებული მარნეულის რაიონი.

აჭარის გამოყოფის მიზეზად კრემლის რუპორი, „ადგილობრივების ქართველებთან კულტურულ და რელიგიურ სხვაობას“ ასახელებს. რფ-ს სპეცსამსახურებს სეპარატიზმის გამოვლინება სამეგრელოშიც „შეუნიშნავთ“.

სეპარატიზმი ფეხს იკიდებს სვანეთშიც, – აცხადებს პლიევი. – ადგილობრივებს კი აუცილებლად დაუჭერს მხარს ახლად აღიარებული აფხაზეთი. სპეცსამსახურებთან დაახლოებული პლიევი იმასაც ამბობს, რომ მიუხედავად საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო დონეზე კარგი ურთიერთობებისა, „აზერბაიჯანელებით დასახლებული საქართველოს რეგიონები მალე შეუქმნიან ქვეყანას პრობლემას“.

იხ. 11 გვ.

# შეტყობინება

## სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ

**სს „დილას“ დირექცია იწვევს სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2008 წლის 3 ოქტომბერს 15 საათზე ქ. გორში, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 8.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის წლიური ანგარიში.

წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;

2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;

3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;

4. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია (გაყოფა).

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექციაში როგორც ზეპირად ისე წერილობით.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) 2008 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრი“. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, 74 ა. შპს „რეგისტრი“, ტელ: 23-01-09.

დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მხარს უჭერენ დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას.

**სს „დილას“ დირექცია**

## ფეხბურთი

# როსდა გველირსოს ჩვენ გამარჯვება?

**ამოვიდა ყელში ამდენი „ღირსეული წაგება“. ღმერთო, ერთ ულირს გამარჯვებას მომასწარიო, ნახევრადხუმრობით შემომჩივლა იტალია-საქართველოს II ტურის შესარჩევი შეხვედრის დასრულებისთანავე ერთმა მეზობელმა. დამეთანხმებით, მრავალი გულშემატკივრის გულისთქმაა გამოხატული აღნიშნულ ოცნებაში.**

მართლაც, კუპერის ხელი „ჯვაროსნებს“ უკვე დაეტყოთ და უდინეს „ფრიულის“ სტადიონზე ისინი ღირსეულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ეს სათამაშო დროის უმეტეს ნაწილზე ითქმის. მოგეხსენებათ, მატჩი 90 წუთის განმავლობაში გრძელდება, ამიტომ გეკითხებით: რა ვუყოთ საწყის 20 წუთს, როცა ჩვენი გუნდი მთელი შემადგენლობით საკუთარ საჯარიმო მოედანს იყო მიჯაჭვული და ბურთს უსისტემოდ იგერიებდა? სხვათა შორის, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასპინძლებიც სამხრეთელები არიან და ადრეულმა გოლმა გარკვეულწილად დაამშვიდა კიდეც „სკუადრა აძურა“. ასე რომ, საეიფორიოდ სრულიადაც არა გვაქვს საქმე და კარგი იქნება, თუ ბიჭები ნავსს ოქტომბერში, კვიპროსელებთან და ჩერნოგორიელებთან თბილისში





დანიშნულ უახლოეს ბრძოლებში გატეხენ.

**იტალია – საქართველო 2:0 (1:0)**

**იტალია** – ბუფონი, დოსენა, კანავარო, ლეგროტალიე, ძამბროტა, კამორანეზი, აკუილანი, პირლო, დე როსი, ტონი, დი ნატალე. ითამაშეს აგრეთვე პალომბომ, დელ პიერომ და იაკუინტამ.

**საქართველო** – ლორია, ლობჟანიძე, სალუქვაძე, კალაძე, ელიავა, მენთეშაშვილი, ხმალაძე, ყენია, კობიაშვილი, იაშვილი, მჭედლიძე. ითამაშეს აგრეთვე კვირკველიამ, სირაძემ და ოდიკაძემ.

**მსაჯი** – ჰ. ეინვალერი (ავსტრია).

**გაფრთხილება** – პირლო, აკუილანი; ყენია.

**გოლები** – დე როსი (მე-17, 90-ე წთ).

შეგახსენებთ, რომ „რომას“ ნახევარმცველმა დანიელე დე როსიმ წინა შესარჩევ ციკლშიც შორეული გასროლით დაგვამწუხრა. ჩვენი ნაკრების მაშინდელი მეკარე ჭანტურია უკვე პენსიაზეა გაშვებული. როგორ წავა ლორიას საქმე?

**გთავაზობთ ოთხშაბათის რაუნდის სრულ შედეგებს:**

**I ჯგუფი.** შვედეთი – უნგრეთი 2:1, პორტუგალია – დანია 2:3, ალბანეთი – მალტა – 3:0.

ალბანეთი, დანია, შვედეთი – 4-4, პორტუგალია – 3, უნგრეთი – 1, მალტა – 0 ქულა.

**II ჯგუფი.** შვეიცარია – ლუქსემბურგი 1:2, ლატვია – საბერძნეთი 0:2, მოლდოვა – ისრაელი 1:2.

საბერძნეთი – 6, ისრაელი – 4, ლატვია, ლუქსემბურგი – 3-3, შვეიცარია – 1, მოლდოვა – 0 ქულა.

**III ჯგუფი.** სლოვენია – სლოვაკეთი 2:1, ჩრდილოეთ ირლანდია – ჩეხეთი 0:0, სან-მარინო – პოლონეთი 0:2.

პოლონეთი, სლოვენია – 4-4, სლოვაკეთი – 3, ჩეხეთი, ჩრდილოეთ ირლანდია – 1-1, სან-მარინო – 0 ქულა.

**IV ჯგუფი.** ფინეთი – გერმანია 3:3, რუსეთი – უელსი 2:1, აზერბაიჯანი – ლიხტენშტეინი 0:0.

გერმანია– 4, რუსეთი, უელსი – 3-3, ფინეთი, აზერბაიჯანი, ლიხტენშტეინი – 1-1 ქულა.

**V ჯგუფი.** ესპანეთი – სომხეთი 4:0, თურქეთი – ბელგია 1:1, ბოსნია – ესტონეთი 7:0.

ესპანეთი – 6, თურქეთი, ბელგია –4-4, ბოსნია – 3, სომხეთი, ესტონეთი – 0-0 ქულა.

**VI ჯგუფი.** ყაზახეთი – უკრაინა 1:3, ხორვატეთი – ინგლისი 1:4, ანდორა– ბელორუსია 1:3.

ინგლისი, უკრაინა – 6-6, ბელორუსია, ხორვატეთი, ყაზახეთი – 3-3, ანდორა – 0 ქულა.

**VII ჯგუფი.** საფრანგეთი – სერბეთი 2:1, ფარერები – რუმინეთი 0:1, ლიტვა – ავსტრია 2:0.

ლიტვა – 6, სერბეთი, ავსტრია, საფრანგეთი, რუმინეთი – 3-3, ფარერები – 0 ქულა.

**VIII ჯგუფი.** იტალია – საქართველო 2:0, ჩერნოგორია – ირლანდია 0:0.

იტალია – 6, ირლანდია – 4, ჩერნოგორია – 2, ბულგარეთი – 1, კვიპროსი, საქართველო – 0-0 ქულა.

**IX ჯგუფი.** მაკედონია – ჰოლანდია 1:2, ისლანდია – შოტლანდია 1:2.

ჰოლანდია, მაკედონია, შოტლანდია – 3-3, ნორვეგია, ისლანდია – 1-1 ქულა.

* * *

**სამხრეთ ამერიკის ზონა. VIII ტური.** პერუ – არგენტინა 1:1, პარაგვაი – ვენესუელა 2:0, ბრაზილია – ბოლივია 0:0, ჩილე – კოლუმბია 4:0, ურუგვაი – ეკვადორი 0:0.

პარაგვაი – 17, ბრაზილია, არგენტინა, ჩილე – 13-13, ურუგვაი – 12, კოლუმბია – 10, ეკვადორი – 9, ვენესუელა, პერუ – 7-7, ბოლივია – 5 ქულა.

## კალათბურთი

# თურმე ქიცმაცურიც გვცოდნია

**კალათბურთი რომ სპორტის გუნდური სახეობაა, ამას იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშიც მოწმობს. თუ ადრე „ჯვაროსანთა“ ბედი უმეტესწილად ზაზა ფაჩულიას პირად მონაგარსა და გუნება-განწყობილებაზე იყო დამოკიდებული, ამჟამად გაზაფხული „სხვა მერცხლებსაც“ მოჰყავთ.**

ხორვატი სპეციალისტის კვალიფიციურობისა და ტაქტიკური განსწავლულობის გარდა, ევროპის მომავალი ჩემპიონატის „B“ დივიზიონის საკვალიფიკაციო ტურნირის სტარტზე მოპოვებული წარმატებები თვით ჩვენი გუნდის კაპიტნის დამსახურებაცაა, რომელმაც პარტნიორთა სასიკეთოდ იცვალა სტილი და შედეგიან გადაცემებსაც მოუხშირა.

საილუსტრაციოდ II ტურში ირლანდიაში მოგებული შეხვედრაც გამოდგება – 94:77, სადაც სანიკიძემ 31 ქულა მოაგროვა, ელისმა – 20, ხოლო თვით ზაზამ – მხოლოდ 16.

ხვალ საქართველოს ნაკრები სტუმრად სლოვაკებთან იასპარეზებს, რომელიც შინ ჯგუფის კიდევ ერთ ლიდერთან შვედეთთან დამარცხდა 88:89.



## ძიუდო

# ძალებს ვარშავაში გამოცდიან

**პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში დღეს დაიწყება და კვირას დამთავრდება ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ბორის ფირცხელიანის ხელმძღვანელობით ტურნირზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ გიორგი ბროლაშვილი (55 კგ), პაატა მერებაშვილი (60), ზებედა რეხვიაშვილი (66), ავთანდილ ჭრიკიშვილი (73, ზაზა დავაძე (81), ვარლამ ლიპარტელიანი (90), კონსტანტინე მუკვანი (100) და ლევან მუძერია (მძიმე წონა).**

საგულისხმოა, რომ ვარშავაში გოგონებიც იასპარეზებენ. ისინი ოთხ წონაში გამოცდიან ძალებს. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ ნათია ვეშაგური (48, მარიამ ტარუაშვილი (63 და ნინო ოძელაშვილი (78). ჩვენს გოგონებს გია თენაძე თავკაცობს.

## ინტერნეტიდან

# არმსტრონგი ბრუნდება?

**ველოსპორტის გულშემატკივართა (და არა მარტო მათ) გასახარად დიდ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა სახელგანთქმულმა ამერიკელმა ველოსიპედისტმა ლენს არმსტრონგმა.**

„ლენს არმსტრონგი ადასტურებს, რომ ბრუნდება პროფესიულ ველოსპორტში, რათა მეტი ყურადღება მიაქციოს კიბოსთან ბრძოლის გლობალურ პრობლემებს“. შეგახსენებთ, რომ არმსტრონგმა გასული საუკუნის 90-იან წლებში შუაგულში შეძლო, დაემარცხებინა კიბო, შემდეგ კი შექმნა ამ დაავადებასთან ბრძოლის ფონდი.

ცნობილი სპორტსმენი დიდი სპორტიდან 2005 წელს წავიდა, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის გამარჯვებული (1999-2000 წ.წ.).



მოელიან, რომ „ტურ დე ფრანსის“ გარდა 36 წლის ველოსპედისტი მონაწილეობას მიიღებს „კალიფორნიის ტურში“, „პარიზ-ნიცას“, ჯორჯიისა და სხვა ტურნირებშიც.

# ძოლას რეფორმები

**სულ მალე ლონდონის „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი იტალიელი ჯანფრანკო ძოლა გახდება. ის გუნდში მრავალ სიახლეს აპირებს, რაზეც ჟურნალისტებსაც ესაუბრა:**



„უწინარეს ყოვლისა, მინდა, რომ ჩემი გუნდის მოქმედება მაქსიმალურად საყურებელი გახდეს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოთამაშე ვიყავი, მუდამ მიზიდავდა ნატიფი ფეხბურთი და ჩემს კრედოზე უარს ვერ ვიტყვი მწვრთნელის როლშიც, ჩემი აზრით, ადამიანები ძნელად გულშემატკივრობენ გუნდს, რომელსაც მხოლოდ თავდაცვა ძალუძს – ეს მართლაც საინტერესო როლია“, – აღნიშნა 42 წლის ძოლამ. ადრე ის ხომ „ნაპოლის“, „პარმას“, „ჩელსისა“ და „კალიარის“ ღირსებას იცავდა.

იტალიელმა ისიც აღნიშნა, რომ მისი კონტრაქტის ზოგიერთი დეტალი აქამდე თანხმდება. სჯერა რა თავის დანიშვნისა, ის ამბობს: „მე ნამდვილად მიყვარს ინგლისი და ლონდონი. მეორესთან დაკავშირებული ვარ ჩემი ცხოვრების უამრავი სასიამოვნო მოგონებებით. უფრო მეტიც: მრავალი წელი. ყველაზე მაღალი დონის ფეხბურთით რომ ვიცხოვრე, ისე ბედნიერად არასოდეს მიგვრძნია თავი, როგორც აქ“.

„ვესტ ჰემის“ წინა მწვრთნელის ალან კერბიშლის საკუთარი სურვილით გადადგომის შემდეგ გუნდის შესაძლო მწვრთნელად მოიაზრებოდნენ მიქაელ ლაუდრუპი, რობერტო დონადონი, სლავენ ბილიჩი და რობერტო მანჩინი. ამჟამად ძოლა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელია.

# პრეზიდენტი ეგონათ

**თურქეთში ფოტოსესიაზე ჩაფრენილმა ცნობილმა რუსეთელმა ტელეწამყვანმა ანფისა ჩეხოვამ და მისმა ლამაზმანმა თანამემამულემ, შოუ-ბიზნესის აქტიურმა მონაწილემ, ყოფილმა ფიგურულმა მოციგურავემ და მომღერალმა ანა სემიონოვიჩმა გაოცებისგან „პირი დააღეს“.** თვითმფრინავის ტრაპთან წითელი ხალიჩა იყო დაფენილი და გვარდიელთა საპატიო ყარაულიც ჩამწკრივებული. როგორც შემდეგ გამოირკვა, თურქები თურმე თავიანთ პრეზიდენტს ელოდებოდნენ, და არა რუსეთელ ტელელამაზმანებს. დამხვდურებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და სტუმრებს თბილად შეხვდნენ.

ქალიშვილები მუსიკით მიაცილეს საბაჟო კონტროლამდე. აეროპორტში შეკრებილი ხალხი გაოცებით შეჰყურებდა ლამაზმან სტუმრებს. „თურმე ძალიან კარგი ყოფილა პრეზიდენტად, თუნდაც თურქეთის, ყოფნა. გვარდიელებიც სულ რჩეულნი იყვნენ – მაღალნი, ტანადნი! – იღიმებიან ლამაზმანები.



SIC!

# რუსეთმა თვითონ გაყო თავი შარში

(მეცხრე გვერდიდან)

საქართველოს დაქუცმაცების საქმეში პლიევი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და მის ლიდერს – კოკოითს. თურმე სეპარატისტები ცდილობენ რუსების მეშვეობით საქართველოს პრეტენზიები წაუყენონ იმ სადავო მიწებთან დაკავშირებით, რომლებიც ერთ დროს ოსებს ეკუთვნოდათ და ქართველებმა წაართვეს. ისტორიული რეალობა კი ის არის, რომ ოსებმა ქართულ მიწებზე მყარად დაფუძნება მხოლოდ ორი საუკუნის წინათ დაიწყეს. პლიევის აზრით, სწორედ ამას ეფუძნება კოკოითის განცხადება –„ჩვენ სამხრეთ ოსეთს არა მხოლოდ აღვადგენთ, არამედ უფრო შორსაც წავიწევითო“. ალბათ, სეპარატისტ მინისტრ რფ-ს სპეცსამსახურებმა მიაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სომხეთს სწორედ რუსეთი დაეხმარება „დიდი სომხეთის“ სახელმწიფოს შექმნაში. ამგვარი რამ საქართველოსთვის სამცხე-ჯავახეთის წაურთმევლად ვერ მოხერხდება, რაც მალე მოხდებაო, – ამტკიცებს პლიევი.

### რუსეთის ინიციატივებს ყველგან დუმილით ხვდებიან

**რამდენიმე დღის წინათ, სოჭში სამთავრობო რეზიდენციაში მედვედევმა სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი მიიღო. შეხვედრაზე ისაუბრეს დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ. ამ ხელშეკრულებას შემორჩნენ რფ, სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი. ხელშეკრულების მიხედვით, მისი ყველა ხელმომწერი მხარე ვალდებულია თავის მოკავშირე ქვეყანას, თუ იგი სხვა ქვეყნებთან საომარ მდგომარეობაშია, ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს სამხედრო ძალის ჩათვლით.**

სოჭის შეხვედრაზე რუსეთისა და სომხეთის პირველ პირებს არ უსაუბრიათ საქართველოსთან მოსკოვის კონფლიქტის შესახებ. გასაგებია, რომ ამ საკითხს მედვედევი არ წამოსწევდა, და თუ წამოსწევდა, ისიც მისახვედრი უნდა იყოს, თუ რა კუთხით. ექსპერტთა და ანალიტიკოსთა გაოცება გამოიწვია იმან, რომ სარქისიანმა საუბრისას კონფლიქტის დროს დაღუპული ოსები და რუსი მშვიდობისმყოფლები მოიხსენია და თანაგრძნობა გამოუცხადა გარდაცვლილთა ოჯახებს. სტუმარმა მასპინძელს არ აწყენინა და ქართველები და საქართველო გაკვრითაც არ უხსენებია. სამაგიეროდ არ დავიწყებია „რუსთა ხელმწიფის“ გულის მოსაგებად ასობით ოსი ბავშვის სომხეთში დასასვენებლად მიწვევა.

რუსეთის მცდელობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაზე ნაჩქარევად მიბმისა, იმით არის გამოწვეული, რომ მან სასწრაფოდ განალაგოს საკუთარი შეიარაღებული ძალები ამ რეგიონებში, ამისთვის კი საჭიროა, რომ ორივე თვითგამოცხადებული „ქვეყანა“ საერთაშორისო თანამეგობრობამ, ორგანიზაციებმა ცნონ. კრემლის აშკარა გაღიზიანებას იწვევს დსთ-ს წევრი ქვეყნების თავშეკავებული პოზიცია ამ საკითხისადმი. რუსეთი არც შანხაის ხელშეკრულების ქვეყნების დუმილითაა კმაყოფილი. რუსეთი ცდილობს, საქართველოს მისივე მეზობელი ქვეყნები დაუპირისპიროს.



### მოულოდნელი სვლები

**როდესაც რფ-ს თავად აქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, ის კვლავ განაგრძობს პოსტსაბჭოთა ქვეყნების საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას, მედვედევისა და სმირნოვის (დნესტრისპირეთის, მოლდოვას რესპუბლიკაძ შეხვედრაზე მოსკოვმა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პირველ პირს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ „მეფის კარს“ ახალი მთხოვნელი მიადგა დნესტრისპირეთის სახით. მათმა ლიდერმა სმირნოვმა, რფ-ს სამხედრო ძალების „ქვეყნის“ ტერიტორიაზე დაუყოვნებლივი შეყვანა მოითხოვა. თვითმარქვია პრეზიდენტი აცხადებს, რომ ახალი რესპუბლიკის აღიარება დროზეა დამოკიდებული და ეს აუცილებლად მოხდება.**

სულ სხვა ვითარება იკვეთება აფხაზეთში. ეტყობა, მას შემდეგ, რაც საქართველოს რეგიონს რუსებმა ერთპიროვნულად მიანიჭეს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, მოსკოვს მადა გაეხსნა. ის არც კი ეთანხმებს ადგილობრივ ხელისუფლებას და მთელი ტერიტორიის განკარგვას ისე აპირებს, როგორც საკუთარი სამხარეოსას ან საოლქოსას. რუსები ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ოჩამჩირესა და გუდაუთაში შავი ზღვის ფლოტისთვის ბაზების აშენებას იწყებენ. ამასთან დაკავშირებით მუდამ რუსეთის თვალებში შემციმციმე და კრემლის ნებისმიერი სურვილის შემსრულებელმა აფხაზეთის „პრეზიდენტმა“ სერგეი ბაღაფშმაც ვერ მოთოკა ემოციები და პირდაპირ განაცხადა, რომ შავი ზღვის რუსული ფლოტის აფხაზეთში განლაგებას არ მიესალმება. მან ნათქვამი კიდევ უფრო დააკონკრეტა – რუსეთისთვის ფლოტის ბაზების აშენება არავის უთხოვია.

ანალიტიკოსები და ექსპერტები ირონიულად მიუთითებენ, რომ ბაღაფშმა ნამდვილად წარმოიდგინა თავი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველ პირად. სპეციალისტები ხაზს უსვამენ, რომ დამოუკიდებლობაბოძებული სახელმწიფოს ამგვარ თავნებობას კრემლში შეყრილი „კგბ-შნიკები“ ვერ მოითმენენ და ნებისმიერი, დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდებით, შეეცდებიან ბაღაფშის მოთოკვას.

**ზაზა ბილიხოძე**

---

სანთელი



## *ლევან ჩარკვიანის გახსენება*

*ასაკი აროდეს
არ გქონდა ბებრული,
კვლავ ღვინით და ყანწით
მამულში მეგულვი,
სამშობლოს ულელში
მარადის შებმული,
შენ იყავ გვარის და
ჯილაგის ერთგული.*

*და როგორც არ უნდა
შევაკვდეთ კლდის
ბორცვებს,
სიკვდილი კვდება და
არ კვდება სიცოცხლე,
ჩავიდა, თუმცაღა
სიცოცხლე მზით მოგვდევს,
ორმოცი დღის შემდეგ
ჩვენთან ხარ, იცოდე.*

**ჯანსუღ ჩარკვიანი**
2008 წლის 11 სექტემბერი

---

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მზია შვანგირაძის
მეუღლე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (სკგფ),
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ),
საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)

2008 წლის 9 სექტემბერს აცხადებენ ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნულ პროგრამას

პროგრამის ფარგლებში აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი, საკონკურსო საფუძველზე, ახალგაზრდა მეცნიერთათვის გასცემს ერთწლიან გრანტებს, რომელიც მოიცავს:
ა) 2-3 - თვიან ვიზიტს აშშ მიმღები მხარის სამეცნიერო ორგანიზაციაში და
ბ) სამეცნიერო კვლევების ფინანსურ მხარდაჭერას საქართველოში პროექტის განხორციელების განმავლობაში.

**პროგრამის მიზნებია:** ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერთა დახმარება მათი სამეცნიერო კარიერის საწყის ეტაპზე და აშშ და ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობის განმტკიცება.

კონკურსზე წარმოდგენილი ღირსეული განაცხადების რაოდენობიდან გამომდინარე, სკგფ, სესფ და სსგფ გასცემს დაახლოებით 10 გრანტს.

თითოეული გრანტის ოდენობაა არაუმეტეს 11, 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია განთავსებულია სესფ-ის და სსგფ-ს ვებ-გვერდებზე: www.gnsf.ge და www.grdf.ge

**განაცხადების სკგფ, სესფ და სსგფ-ში წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 30 ოქტომბერი, 18 სთ.**

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება დაახლოებით 2008 წლის 22 დეკემბრისთვის**

**გრანტი გაიცემა – 2009 წლის 1 იანვრიდან**

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ:
**საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ)**
მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68, მე-4 სართული.
ტელეფონი: 91 02 62; ფაქსი: 95 62 05
ელ.ფოსტა: office@gnsf.ge ; tedodol@yahoo.com
**საკონტაქტო პირი: თეოდორე დოლიძე**

**საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)**
მისამართი: ქ. თბილისი, 0168, მინდელის ქ. №7, მე-3 სართული.
ტელეფონი: 32 01 68; ფაქსი: 21 02 28
ელ.ფოსტა: helen@grdf.ge ან info@grdf.ge
**საკონტაქტო პირი: ელენე გიორგაძე**

---

**სააქციო საზოგადოება Sagmel, INC-ს კორპორაციის წარმომადგენლობა საქართველოში განმეორებით გაცნობებთ ლიკვიდაციის შესახებ, ლიკვიდატორად დანიშნულია ქალბატონი სოფიო ცხომარია რეგისტრირებული ქ. სოხუმში ჭოჭუას ქუჩა სახლი №46, პირადი ნომერი –
62001006995.**

**ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი – ქ.თბილისი კეკელიძის ქ.№23. ბ.47**

ყველა კრედიტორს ვთხოვთ მიმართოს საწარმოს წარმომადგენლობის შემდეგ იურიდიულ მისამართზე ქ. თბილისი დიდუბის რაიონი. დ. აღმაშენებლის გამზირი №154.

საწარმოს დამფუძნებელია – სააქციო საზოგადოება – SAGMEI, INC, რომელიც რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე – აშშ ილინოისის შტატი. 60048, ქალაქი ლიბერთივილი, სამხრეთ მილოუკის გამზირი 1580, ოთახი 415.

ლიკვიდატორი
**სოფიო ცხომარია**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-65-87;
899 32-85-76.**

---

რეზო და რუსუდან გაგუები, დავით გოცაძე იუწყებიან ოჯახის ახლო მეგობრის პროფესორ გია ნემსაძის მწუხარებას ძმის
გოჩას
გარდაცვალების გამო.

---

ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაც. ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება ცენტრის მამოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელის პროფესორ გია ნემსაძის მწუხარებას ძმის
გოჩა ნემსაძის
გარდაცვალების გამო.

---

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: სამსახურში მედავებიან, ზედმეტი ანაზღაურება გადაგიხადეთ და ახლა ერთბაშად უნდა დააბრუნოო. აქვთ ამის უფლება?**

**ლევან გზირიშვილი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს



* * *

**კითხვა: განგვიმარტეთ, რა თანხა უნდა გადავიხადოთ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდებაში ან დებულებაში ცვლილებების ან დამატებების შესატანად?**

**ვასილ სუთიძე**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში უნდა გადაიხადოთ იურიდიულ პირის (ე.ი. თქვენი პოლიტიკური პარტიისძ რეგისტრაციისთვის დაწესებული მოსაკრებლის (500 ლარიძ 25 პროცენტი.

* * *

**კითხვა: ვარ 62 წლის. ვმუშაობ კოლეჯში პედაგოგად. მინდა, დავინიშნო პენსია. მომეცემა იგი მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში?**

**ნელი ჩივაძე**

**პასუხი:** კოლეჯში პედაგოგად მუშაობის შემთხვევაში პენსია მოგეცემათ. გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თქვენი რაიონის ფილიალს (ყოფილი სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალიძ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

## ინფორმაცია

### ფრანგები „საქართველოს უპასუხისმგებლო ხელისუფლებას“ ოქრუაშვილს არ გადმოსცემენ

პარიზის სააპელაციო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილის ექსტრადიციაზე საბოლოო უარი თქვა.

პოლიტიკური თავშესაფარი საფრანგეთისგან მან მიმდინარე წლის აპრილში მიიღო.

უცხოური სააგენტოების ცნობით, პარიზის სასამართლოს გადაწყვეტილებას მართლმსაჯულების გამარჯვებას უწოდებენ ოქრუაშვილის ფრანგი ადვოკატები. ეს დიდი გამარჯვებაა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, ოქრუაშვილზე დევნა მოხდებოდა, — აღნიშნა ადვოკატმა ლუი-მარი დე რუმ.

თავად ოქრუაშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ აღნიშნა, რომ საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს, საქართველოს ახლანდელი რეჟიმი კი უპასუხისმგებლოა.

საქართველოში იუსტიცია იქცა რეპრესიების მანქანის ნაწილად, - დასძინა ოქრუაშვილმა.

როგორც ოქრუაშვილმა აღნიშნა, მზად არის, გააგრძელოს ბრძოლა, რათა საქართველო უპასუხისმგებლო ხელისუფლებისგან გაათავისუფლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიმდინარე წლის 28 მარტს ოქრუაშვილს დაუსწრებლად თავისუფლების 11 წელით აღკვეთა მიუსაჯა.

### გაძარცვული ნაბადა ერთ „ურალზე“ დაეტევა?

რუსი ოკუპანტები ფოთიდან გასვლისთვის მზადებას განაგრძობენ.

ჯავშანტექნიკა, რომელიც სანგრებში ჰქონდათ ჩაფლული, უკვე ამოიყვანეს. მთლიანად ახსნეს მავთულხლართები, მობილიზებული ჰყავთ „ურალის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა, რომლითაც ინვენტარი გააქვთ.

ნაბადას ტერიტორიაზე არსებულ უკანონო საგუშაგოზე შემცირებულია სამხედროთა რიცხვიც.

ინტერპრესნიუსი


## პაატა გუგუშვილის სახელობის ლიცენზირებული უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას

*ბაკალავრიატი:*
1. სამართალმცოდნეობა; 2. საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; 3. ფილოლოგია (ინგლისური ენა და ლიტერატურა); 4. დაწყებითი განათლება.

*უმაღლესი პროფესიული განათლება:*
1. სოციალური უზრუნველყოფის სამსახური; 2. საბანკო საქმე; 3. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; 4. ტურიზმის მენეჯმენტი; 5. მარკეტინგის მენეჯერი; 6. გიდ-თარჯიმანი (ინგლისური, გერმანული, რუსული).

სწავლის ხანგრძლივობა ბაკალავრიატზე 4 წელი, უმაღლეს პროფესიულ განათლებაზე — 3 წელი. წარჩინებულებს დაენიშნებათ სტიპენდია. ჩარიცხვა უგამოცდოდ.

*რექტორი — აკადემიკოსი ლევი ბიჭაძე.*

*ერთწლიანი სწავლების კურსები (9 და 11 კლასის ბაზაზე)*
1. კომპიუტერული სისტემების ოპერატორი; 2. კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება; 3. უცხო ენები და კომპიუტერული საოფისე პროგრამები; 4. ბუღალტერია (კომპიუტერული ბუღალტერია); 5. სასტუმრო საქმის სპეციალისტი. დიღუბე, ეგლაძის ქ. 37 (მე-2 სართული); „მეგალაინი“.

☎ 34-23-91; 27-07-70; 99-60-20; (893) 99-60-20; (893) 37-25-71; (899) 58-67-16.



უახლესი ტექნოლოგიები

# კაილიში



ალტერნატივა ქართულ ბაზარზე

ვიტრინა მაცივარი და მინი ბარი სასმელების, რძის პროდუქტების, მედიცინაში წამლების შენახვა-რეკლამირებისთვის

ევრო სტანდარტი
სრული კომპლექტაცია



| მოდელი | ზომა | | | ელ. ენერგიის მოხმარება |
|---|---|---|---|---|
| | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | |
| SC-110C | 558 | 660 | 883 | 0.7კვ/24სთ-ში |
| SC-348LP | 640 | 625 | 2000 | 1.8კვ/24სთ-ში |
| SC-448LP | 585 | 620 | 1755 | 2.5კვ/24სთ-ში |
| SC-648L | 900 | 580 | 1905 | 2.5კვ/24სთ-ში |

მისაღები ფასები + საგარანტიო მომსახურება

ჩვენი მისამართია: თბილისი, კედიას 15 (ყოფილი კახოვკა, დიდუბეში)
ტელ: 35-50-20. 35-60-78
ელ-ფოსტა: tsikara2005@mail.ru; tsikara2005@yahoo.com


## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.


რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.


## კადრი



## ანეკდოტები

— ნუ ნერვიულობთ, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, — აწყნარებს ექიმი ახალგაზრდა ქალს, ვისაც პირდაპირ ლიფტში გააჩენინა ბავშვი. — მე მითხრეს, რომ შარშან ერთ ქალს ავტობუსების გაჩერებაზე უმშობიარია!



— ექიმო, ის მე ვიყავი...

* * *

— რამდენ კილოს იწონით? — ეკითხება ექიმი-დიეტოლოგი ავადმყოფს.

— ახლა 116 კილოგრამს. ჩემი მაქსიმალური წონა კი 125 კილოგრამი იყო.

— მინიმალური?

— 3 კილო და 600 გრამი.

* * *

— ექიმო, კბილები გამიყვითლდა.

— მაშინ ყვითელი ჰალსტუხი მოგიხდებათ.

* * *

ექსტრემალური გახდომის სიახლენი: ლუდის ბარიდან გამოსული ზეინკალი პეტროვი 40 წამში 1,5 ლიტრით გახდა.

* * *

ადამიანის უფლებები მხოლოდ მეორე ადამიანისგან არის დასაცავი.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.